F75/3087

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ძძ.

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სr. საქ მ. გ. წ. ცr. და მტr.
დკპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია 3
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში— 1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩვეულებრივი ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩვეულებრივით.

დღევანდელ[illegible] №-რი შეიცავს [illegible]

დეპეშები

ინდოეთში მთავრობამ დაატუსაღა 5 ათასი რკინის გზელ[illegible] პოლიციასთან შეტაკების დროს დაჭრეს პოლიციელები.

ბრიტანეთის ინდოეთში ზაფხულის განმავლობაში მოხდა 42 გაფიცვა.

სპარსეთის მთავრობა იხილავს საკითხს უცხოელებზე კონცესიის სახით ზოგიერთ სარკინიგზო შტოების გადაცემის შესახებ.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ პოლონეთი არ შევა მცირე ანტანტის შემადგენლობაში.

№ 2 ხუთშაბათი, 3 იანვარი 1924 წ. 58 №189 ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 2

საბჭოთა კავშირის ურთიერთობა საფრანგეთთან

ორი მტრის და არა ორი მეგობრის ურთიერთდამოკიდებულებაზე შეიძლება ლაპარაკი ამ შემთხვევაში. და ამით ჩვენ ახალს არაფერს ვამბობთ არც ჩვენი მეთაურებისთვის და ამხანაგებისთვის, არც სხვებისთვის. კითხვა შეეხება ერთნაირი წესის შემუშავებას, რომელიც დაცული უნდა იქნას გარკვეული დროის განმავლობაში ორ მხარეთა შორის, რომლებიც ისტორიულად დაყენებულნი არიან საჭიროების წინაშე ერთნაირი ენა გამონახონ, ურთიერთ დამოკიდებულება, ცხოვრების ერთი [illegible] წესი, „მოდუს ვივენდი" გამონახონ. [illegible] დრო, ეს წესი დაირღვევა ისევე როგორც ირღვევა წონასწორობა დროებით შეთანხმებულ ძალებს შორის, როგორც იშლება რომელიმე მიზნით შედგენილი კოალიცია, კავშირი ამა თუ იმ სახელმწიფოთა შორის. მაგრამ გარკვეულ დროის მანძილზე ეს შეთანხმება აუცილებელი ხდება თვით ისეთი ერთი მეორის გადაჭრით და რადიკალურად მოწინააღმდეგე მხარეებისათვისაც, როგორც არიან ერთი მხრით—საბჭოთა სახელმწიფოების კავშირი, მეორე მხრით კი—მთელი დანარჩენი ბურჟუაზიული მსოფლიო. კონკრეტულად ამ შემთხვევაში [illegible] ლაპარაკობთ იმპერიალისტურ საფრანგეთზე, რომელიც [illegible] დღესაც ჩვენი შეურიგებელი მტერი.

იყო დრო, რომ საფრანგეთისთან ურთიერთდამოკიდებულებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი მხოლოდ იმ აზრით, რომ ეს დამოკიდებულება არის მხოლოდ [illegible] [illegible] [illegible] დღეს კი სერიოზულად ლაპარაკობენ „საერთო ენის" გამონახვაზე, შეთანხმებაზე, ამ ორი ძალის ზოგიერთი ინტერესების შეთავსებაზე, შეიძლება დროით, მაგრამ მაინც შეთავსებაზე. და ამ ენით ლაპარაკობენ საფრანგეთში დღეს არა მარტო რომელიმე ოპოზიციონურად განწყობილი დეპუტატები ან ჟურნალისტები—ჩვენ აღარას ვიტყვით მუშურ საფრანგეთზე—არამედ უაღრესად ოფიციოზური გაზეთები, რომლების პირით თითქმის ყოველ-დღე მიმართავენ თვით საფრანგეთს და გარე ქვეყნებსაც რესპუბლიკის დღევანდელი მეთაურები, ყველა ეს პუანკარეები და მილერანები.

სწორედ ასეთ გაზეთში, „ტან-"ში დაიბეჭდა მისი პასუხისმგებელი რედაქტორის მიერ ხელმოწერილი წერილი, სადაც [illegible] საჭიროება [illegible] ორი სახელმწიფოს ნორმალური ურთიერთობის აღ[illegible]. გაზ. „ტან"-ი, გამომხატველი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და პირადათ პუანკარეს აზრისა [illegible] [illegible] მთელი [illegible] პრესა [illegible] წითელი რესპუბლიკების წინააღმდეგ—ეს გაზეთი იცვლის ტონს და ქადაგებს ორი ქვეყნის დაახლოების [illegible]. ეს გასაკვირალი ცვლილება კარგა ხანია დაეტყო მას. უკვე იმ დროს, როდესაც ელჩთა კონფერენციის წინაშე დადგა საკითხი რუსეთ-პოლონეთის საზღვრების შესახებ და პანების [illegible] შეიქნა ჩვეულებრივი [illegible] „წითელი იმპერიალიზმის" წინააღმდეგ, სწორედ ამ დროს გააკვირვა გაზეთ „ტან"-ის [illegible]. თავის ერთ-ერთი მეწერილში ის აცხადებდა, საბჭოთა რუსეთს არ ასულდგმულებს არავითარი დაპყრობითი [illegible] დასავლეთით მდებარე მეზობელი ქვეყნების და საზოგადოთ [illegible] ქვეყნის მიმართ. გაზეთი [illegible] დაინტერესებულ [illegible] და პოლიტიკურ [illegible] დასკვნა ამ მოულოდნელმა გამოსვლამ ერთ დროს აალაპარაკა პრესა. მას შემდეგ დრომ განვლო. საფრანგეთსა და მის მოკავშირეთა შორის „შავმა კატამ" გაირბინა, უკმაყოფილებას აქვს ადგილი ქვეყნის შიგნიც. საკმაო მივუთითოთ თუ გინდ იმაზე, რომ რადიკალ-სოციალისტების პარტია და საზოგადოთ მთელი ეგრედ წოდებული „მემარცხენე ბლოკი" საფრანგეთში გამოდის მომავალ საარჩევნო კამპანიაში სხვათა შორის ლოზუნგითაც საბჭოთა რუსეთის ცნობის სასარგებლოთ.

ეჭვს გარეშეა, საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში საფრანგეთის ოფიციალური წრეები დგანან რადიკალურ გადაწყვეტილებათა მიღების საჭიროების წინაშე. საბჭოთა მთავრობა, რასაკვირველია, სიამოვნებით შეხვდება ყოველ საქმიან წინადადებას ამ მიმართულებით, რამდენადაც ის შეთანხმებული იქნება ქვეყნის დამოუკიდებლობასთან, მის სასიცოცხლო ინტერესებთან. ეს მოხდება არა ლიტონი სიტყვებით, არამედ მას შემდეგ, რაც საფრანგეთი შესწყვეტს კამპანიას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და დაამტკიცებს, რომ მას ხელი აქვს აღებული ავანტიურაზე. სანამ ეს არ მომხდარა, გამოსვლები თვით უაღრესათ ოფიციოზური ორგანოების და პასუხისმგებელ პირების დარჩება უშედეგოთ.

საფრანგეთის მოსყიდული და გახრწნილი ბურჟუაზიული პრესა

II

დიდი გაზეთები ამუქრებოდენ ნიკოლოზის მთავრობას: მოგვეცი ფული, თორემ სიმართლეს ვიტყვით.

პირველ წერილში („კომუნისტი" № 300) მე ვწერდი, რომ საფრანგეთის კომუნისტურ გაზეთში ამხ. ბორის სუვარინმა დაიწყო გამოქვეყნება საიდუმლო წერილების, რომელსაც სხვადასხვა დროს უგზავნიდა ძველი რუსეთის ფინანსთა სამინისტროს „საიდუმლო მრჩეველი" პარიზში, არტურ რაფალოვიჩი, სხვადასხვა პირებს, განსაკუთრებით თვით ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს. ამ წერილებში მოთხრობილია შინაარსი იმ მოლაპარაკებათა, რომელსაც აწარმოებდა კოკოვცევის „უმორჩილესი მსახური" (ასე აწერდა ხელს ავტორი) გაზეთების ხელმძღვანელებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

პირველი წერილები ეკუთვნიან რუსეთ-იაპონიის ომის ხანას.

როგორც ცნობილია თვითმპყრობელობა სულს იბრუნებდა საფრანგეთის ბანკირებისაგან. მის უძირო ჯიბეებს ვერასოდეს ვერ ავსებდნენ [illegible] [illegible] ლაროდ [illegible]. მანეთები შედიოდა ხაზინაში. თავის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რევოლუციის დასამარცხებლად და ვითომ მეურნეობის გასაძლიერებლად მას ესაჭიროებოდა სესხი და მუდამ სესხი. ხოლო სესხს ვინ მისცემს ისეთ დაწესებულებას, [illegible] ან ამ შემთხვევაში მთავრობას, რომელიც ნაკლებ იმედს იძლევა მისი გადახდისათვის, რომელსაც ცუდათ აქვს მოწყობილი შინაური მეურნეობა, რომელსაც ღრმათ არა აქვს გადგმული ფესვები ხალხში, მოკლებულია ამ უკანასკნელის ნდობას. ამიტომ საჭიროა, რომ თავისი შინაური და საგარეო მდგომარეობა მან ისეთი ფერადებით დახატოს, რომ მსხვილ და მასიური კრედიტორებს გააბედვინოს ფულის დაბანდება მის მიერ გამოცემულ სესხის ქაღალდებში. საჭიროა, რომ არავინ გაიგოს მის ცუდ მდგომარეობის შესახებ.

ნიკოლოზის მთავრობა მიმართავდა ასეთ ზომებს. მას მოსყიდული ჰყავდა საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა. ის მას აძლევდა ფულს არა მარტო იმაში, რომ ეთქმევინებინა ეს თუ ის „სიმართლე" რუსეთის მდგომარეობის შესახებ. არამედ ის უხვად სთავაზობდა მათ გაჩუმებისათვისაც ე. ი. იმისთვის, რომ პრესას არ გამოეტანა ეს თუ ის ამბავი რუსეთის ბიუროკრატიის მოღვაწეობიდან, რომელიც სახელს გაუტეხდა მთავრობას.

მიდის რუსეთ-იაპონიის ომი. პორტ-არტურთან საქმე ცუდ მიმართულებას ღებულობს, საერთოთ მთავრობა საშინელი დამარცხებების მოლოდინშია. გახრწნილ ბურჟუაზიულ პრესას უდგება მომენტი, როდესაც მისი სიჩუმე შეუძლია იყიდოს ნიკოლოზის მთავრობამ და ეს ჩაუჩხრიალებს ოქროებს ჯიბეებში გაზეთების ხელმძღვანელებს. ასეთი და სხვა მსგავსი „თამასხურებისათვის" კოკოვცევს აქვს განსაკუთრებული ფონდი, ჩადებული ერთ რომელიმე ბანკში პარიზში (მაგ. ბანკი სახელწოდებით „ლიონის კრედიტი") და ამ ბანკის ჩეკებით ურიგებს „დამსახურებულ" გაზეთების ხელმძღვანელებს ამ ფულს [illegible] ერთი [illegible], რომლებსაც ოფიციალ[illegible] [illegible] არ გამოიყენებს, რომ ასეთი [illegible] საფრანგეთის პრესის [illegible] და პოლიტიკური [illegible], გახრწნილების ფაქტი არის თვითმპყრობელური მთავრობა.

რაფალოვიჩი ანგარიშს აძლევს თავის ბატონს კოკოვცევს [illegible] მოლაპარაკების შესახებ, რომლებიც მას აქვს სისტემატიურათ საფრანგეთის პრესის წარმომადგენლებთან, ბანკირებთან, და ყველა იმ პირებთან, რომლებიც ეხმარებიან მას რუსეთის მთავრობის პოლიტიკური და სამეურნეო პრესტიჟის გამაგრებაში, მთელი ქვეყნის მოტყუებაში, რათა ამ გზით დაფაროს თავისი მიმპალი ფესვები, მთელი სისაძაგლე და უიმედობა მისი მდგომარეობის, ხსნილი ჰქონდეს კრედიტი, მიიღოს საფინანსო ბაზარმა ის, როგორც სასურველი სანდო დებიტორი.

ამ რთული საქმის მოჭახრაკებში იყო ჩართული საფრანგეთის „საპატიო ლეგიონის დიდი ოფიცერი" არტურ რაფალოვიჩი და ამაზე აქვს მოთხრობილი მას თავის წერილებში კოკოვცევის მიმართ. ჩვენ მოვიყვანთ რამოდენიმე ნიმუშს ამ წერილებისას.

ნ.

პრესა

ისევ „მაკრატლის" შესახებ

ბევრი მხრით საინტერესო და პარტიისათვის სასარგებლო დისკუსიას პარტიის ახალი ამოცანების შესახებ ის ნაკლი ახასიათებდა და დღემდეც ახასიათებს სამწუხაროთ, რომ მიჩქმალული იქნა, ჩრდილში დარჩა ერთი დიდი, შეიძლება ითქვას ჩვენი ეკონომიური სინამდვილის უუდიდესი საკითხი „მაკრატლის" შესახებ, რომლის გადაჭრა პარტიისა და სახელმწიფოს გადაუდებელ ამოცანას შეადგენს. მის შესახებ ჩვენ გაზეთში არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი და მომავალშიაც ხშირათ მოგვიხდება ამ საგანზე წერა. მიღებულია მთელი რიგი ზომებისა იმ მიმართულებით, რომ „მაკრატლის" პირები დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ე. ი., რომ მიწის მშრომელმა უკეთეს ფასებში გაყიდოს სოფლის მეურნეობის ნაყოფი—ერთი მხრით, და უფრო იაფათ შეიძინოს ქალაქის მრეწველობის ფაბრიკატები: ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაც სოფელს შემოაქვს თავის ყოველდღიური საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

გაზეთი „პრავდა" (მოსკოვის) აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში მცირდება შეკითხვების რიცხვი სოფლებიდან იმის შესახებ, თუ როგორ ზომებს იღებს მთავრობა ამ მოვლენის წინააღმდეგ და გააგრძელებს თუ არა ის მომავალშიაც ამ მიმართულებით მუშაობას. ქალაქებიდან აგორებული ჯირჯირობით მიუზუქი ტალღა ქალაქის წარმოების და სასოფლო-მეურნეობის ფასების დაახლოებისა სწვდა სოფელსაც.

„თამამათ შეიძლება ითქვას—უპასუხებს „პრავდა" სოფლებიდან მიღებულ კითხვაზე—რომ ბრძოლა „მაკრატლის" [illegible] წინააღმდეგ მხოლოდ ახლა [illegible] ხასიათს. დღემდე ჩვენ [illegible] მიზეზს ფასების დაშორებისას და ვეძებდით საშუალებას მის წინააღმდეგ საბრძოლველათ. საჭირო შეიქნა რამდენიმე დრო, რომ ეს საშუალებები ნათელი გამხდარიყო ადგილობრივი მუშაკებისთვის, კოოპერატივებისთვის პერიფერიაში და „ხოზიაისტვენიკებისათვის".

უკვე დაწყებულია ორგანიზაციული მუშაობა ამ მიმართულებით როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. მაგრამ თვით მოვლენის ხასიათის გამო, შეუძლია ერთი დარტყმით მდგომარეობის ძირითადი შეცვლა. ამისთვის საჭიროა დრო.

„ეს არ ნიშნავს იმას—სწერს „პრავდა"—რომ ჩვენ არ მიგვიღწევია უკვე დღის დადებითი შედეგებისთვის. პირიქით, ჩვენ გვაქვს ასეთი შედეგები და არა უმნიშვნელო. კოოპერაციამ დაუახლოვა თავისი ძირითადი იაჩეიკები ცენტრს, შეკვეცა საგრძნობლათ ზედმეტი ხარჯები. მთელ რიგ რაიონებში (ბოგოროდსკ, ვიაზმა, ომსკ, ორლოვსკ და სხვ) კოოპერაცია ეუფლება ბაზარს. კერძო სავაჭრო კაპიტალს დღემდე კონკურენტი არ ჰყოლია სოფლათ. დღეს კი მას გამოუჩნდა ასეთი კოოპერაციის სახით, რომელიც გამარტივებული აპარატით და ზედნადები ხარჯების დაკლებით თანდათან დაამარცხებს კერძო ვაჭარს".

დაახლოვებით იგივე მოვლენას აქვს ადგილი ჩვენშიც. ამ მიმართულებით მიღებულია გადამჭრელი ზომები და მალე ის გამოიღებს სათანადო ნაყოფს. „მაკრატლის" პრობლემა თანდათან გადაიჭრება, რასაკვირველია, ჩვენი ეკონომიკის ობიექტიურათ შესაძლებლობის ფარგლებში.

ძირს მემარჯვენე და „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატიული გამყიდველები*)



Rote Sturmfahne

Erſcheint nach Bedarf Nr. 27 Preis 50 Milliarden Mark

Erwerbsloſen-Konferenz von Berlin-Brandenburg

Nieder mit den rechten und „linken" ſozialdemokratiſchen Verrätern!

სექტ—მარქსის მთავრობის მიერ მოთხოვნილი მთავრობის უფლებების გაფართოების კანონი მიღებული იქნა რეიხსტაგში მხოლოდ იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ყოველი ძალ ღონე მოახმარა ამას. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია არ დაკმაყოფილდა მით, რომ გადასწყვიტა მთავრობას უფლებების გაფართოების კანონისათვის ხმის მიცემა და მან ხელი შეუშალა კომუნისტებს მოეხდინათ ობსტრუქცია: შეკრიბა კენჭს ყრის დროს ყველა თავისი უსირცხვო შეთანხმებულები და ამით მიაღწია იმას, რომ რეიხსტაგში გამოცხადდა საჭირო ორ-მესამედზე მეტი დეპუტატი. ერთად-ერთი სოციალ დემოკრატი დეპუტატი ჰოფმან შმარგენდორფი რომელმაც წინააღმდეგ მისცა ხმა ასეთ სამარცხვინო კანონს,—დაუყოვნებლივ იქნა გამორიცხული ფრაქციიდან. ამ გვარად სოციალ-დემოკრატია შეუდგა განსაკუთრებულ უფლებების კანონის რეალიზაციას თითქოს საქმე ეხებოდა მუშათა კლასის რაიმე მოთხოვნილებას და არა სამხედრო დიქტატორის სექტის ნება-სურვილებს. და აი ეხლა სექტის კანცლერ მარქსს, რომელმაც გამოითხოვა სექტის თანხმობა, მთავრობის შესადგენად, მიენიჭა უფლებები, თავზე მოახვიოს მუშებს, მოსამსახურეებს და საერთოთ ყველა მშრომელებს თავისი ნებისყოფა, ე. ი. თეთრი დიქტატურის სურვილები. მოხელეებს უკვე დაუწესეს 54 საათის სამუშაო კვირა სამარცხვინო დაბალი ხელფასით.

განსაკუთრებულ უფლებათა კანონი ნიშნავს იმას, რომ მსხვილი კაპიტალის შემოტევას „კანონიერ" დახმარებას გაუწევს სამხედრო დიქტატურა ყოველგვარი საკანონმდებლო და აღმასრულებელი საშუალებებით.

სოციალ-დემოკრატია დასთანხმდა ამ კანონის მიღებაზე ისე, რომ არც კი იფიქრა წაეყენებია პირობათ სამხედრო დიქტატურის გაუქმება. გერმანიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პრესა [illegible] უბედავს იმის აღნიშნავს, რომ [illegible] განსაკუთრებულ უფლებების კანონის [illegible] სასარგებლოა მუშათა [illegible] [illegible], რომ სა[illegible] სამხედრო დიქტატურის [illegible] თვის „კანონიერ" [illegible] საშუალებას მისცემს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ დაიწყებდა [illegible] და კონსტიტუციის 48 მუხლის ძალით დაიწყებდა თავის ნება-სურვილების კარნახს მხოლოდ იარაღით. მაგრამ, რადგანაც სამხედრო დიქტატურისათვის ხელსაყრელია კანონიერების ნიღაბით დაფაროს თავისი მოქმედება, სოციალ-დემოკრატიაც იცავს სამხედრო დიქტატურის ინტერესებს.

ეს მან ჩაიდინა არა რწმენით, არამედ შიშის ზეგავლენით. საკმარისი იყო რეიხსტაგის დათხოვნით [illegible]მუქრება, რომ სოციალ-დემოკრატების ლიდერები მიჩუმებულიყვენ. ამასთანავე ველსები და შეიდემანები დაინტერესებული არიან საალყო წესების დაცვით, შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. სექტის ხმალმა უნდა მოჩრუნველყოს მათი უფლება. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებში, ისევე, როგორც ომის დროს; მაშასადამე ისინი იმდენად უსინდისონი არიან, რომ მზად არიან გაეწყობონ სამხედრო დიქტატურა სოც.-დემ. მუშების წინააღმდეგ. გერმანიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბელადები რომ ძალიან მოხარული არიან გერმანიის კომპარტიის აკრძალვით—ეს „ფორვერტსმა" უკვე წამოროშა ჩვეულებრივი ცინიკური გულწრფელობით. „ფორვერტსი" ბრალსა სდებს გერმანიის ნაციონალისტებს იმაში, რომ მათ სურთ ჩაატარონ არჩევნები საალყო წესების არსებობის პირობებში, რათა თავიდან მოიშორონ გერმანიის სახალხო პარტიის მეტოქეობა. სექტს და გერმანიის სახალხო პარტიის შეუძლიათ გაიცინონ ამ საყვედურის გამო, ვინაიდან გერმანიის სახ. პარტიის აკრძალვას არ ჰქონია სერიოზული ხასიათი და დღეს უკვე აღდგენილია სრული თანხმობა და მთლიანობა. მაგრამ „ფორვერტსის" ეს „ხუმრობა" აშკარავებს ველსის და მის თანამოაზრეთა მთელ თვალთმაქცობას, რომლებიც მზად არიან მიიმალონ [illegible], როცა ეს მათთვის საჭიროა. ამას სავსებით ეთანხმება ის [illegible], რომ ეს [illegible] [illegible] გერმანიის [illegible] პარტიიდან [illegible] მოსპობის იქ [illegible], ე. ი. განზრახვა აქვს გამორიცხოს პარტიიდან მშრომელი ელემენტები იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ [illegible] და სახელმწიფო თანამდებობანი. მუშათა კლასი მადლობელი იქნება ველსის და ებერტის ამ უკანასკნელ შემოტევისათვის, ვინაიდან ასეთმა გამოსვლებმა აშკარად დაამტკიცა, თუ რამდენად მდაბლები და გამცემლები არიან ეს „მემარცხენე" მოლაყბეები. პარტიიდან გამორიცხვის მუქარა საკმარისი იყო, რომ ამ „მემარცხენეებს" უსირცხვოთ შეეწყოთ ხელი მუშათა კლასის მოღალატეობისათვის. მემარცხენე ფრთაც აძლევდა ხმას განსაკუთრებულ უფლებების კანონს. მათი წინასწარი დაშინება ლაპარაკი და ჩივილები შეცდომაში ვერ შეიყვანს ვერც ერთ მუშას, რადგანაც თუ საჭიროა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეხება მილიონიან მუშების ყოფნა-არყოფნის საკითხს, ყოველი პატიოსანი მუშათა წარმომადგენელი უნდა იცავდეს მუშების და არა სამხედრო დიქტატურის ინტერესებს.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატები ფაშიზმის ისეთივე ლაქიები აღმოჩნდენ, როგორც მემარჯვენეები. მაგრამ რადგანაც მათ სურთ აიფარონ კლასიურ მებრძოლთა ნიღაბი და ძველებურად ისვრიან რადიკალურ ფრაზებს, ისინი სინამდვილეში არიან ყველაზე საშიშარი მტრები მუშათა კლასისა.

„მემარცხენე" ლიდერების ყოფაქცევა საქსონიასა და ტიურინგიაში ნათლად ამტკიცებს იმას, რომ მათი ერთად-ერთი სურვილია მუშების მოტყუება და მათი გამცემლობა. რამდენიმე კვირა არსებობს უკვე საქსონიასა და ტიურინგიაში სოც.-დემ. პარტიის უმცირესობათა მთავრობები, რომლებიც ემორჩილებიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გენერალ სექტის განკარგულებით და თუ არსებობენ—ეს მხოლოდ დემოკრატების წყალობით. გერმანიის გაერთიანებულ სოც.-დემოკრატიულ საქსონიის და ტიურინგიის საოლქო პარტიულ ყრილობებზე ყველა მემარცხენე ლიდერების მიერ მოწონებული იქნა „არსებული მდგომარეობა და ამასთანავე მათი თავხედობა მივიდა იქამდე, რომ დახმარებაც კი მოითხოვეს კომუნისტებისაგან. ორივე ყრილობის დადგენილებები მოასწავებენ კლასიურ პოლიტიკას შეწყვეტას.

საქსონიის ყრილობამ დაადგინა:

„არსებულ პირობებში ყველაზე შესაფერისად ითვლება სოციალისტური უმცირესობის მთავრობა.

თუ სოციალისტური უმცირესობის მთავრობა იქნება ჩამოგდებული, საჭირო იქნება კომუნისტებთან შეთანხმება საერთო მთავრობის პლატფორმის შესახებ.

ეს დადგენილება სავალდებულოა საოლქო ინსტანციებისა და ლანდტაგის ფრაქციებისათვის.

ყოველივე კოალიციონურ მთავრობის შედგენა დამოკიდებულია პარტიულ ყრილობის ფორმალურ თანხმობაზე."

საოლქო პარტიულმა ყრილობამ, მაშასადამე, უშუალოდ გაითვალისწინა ბურჟუაზიასთან კოალიციის შესაძლებლობა. „ლეიპციგერ ფოლკსცაიტუნგ"-ი, რომელსაც თავი მოაქვს „მემარცხენეების" ხელმძღვანელ ორგანოთ, ამ მყვირალა სათაურით „ერთსულოვანი განცხადება ოპოზიციის შესახებ", სწერს შემდეგს:

„საკითხი ბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციის შესახებ, წინანდებურათ, რჩება ტაქტიკურ პრობლემად, მიუხედავათ პარტიულ ხელმძღვანელების მიერ მიღებულ ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართულია იმისკენ რომ „შეურიგებელ ოპოზიციას" წარუდგინონ ბრალდებათ ის, რომ უკანასკნელი პრინციპიალური მოწინააღმდეგეა ყოველგვარი კოალიციონური პოლიტიკის ბურჟუაზიულ პარტიების მიმართ".

„ლეიპციგერ ფოლკსცაიტუნგ"-ს არსებითად არაფერი არ უთქვამს გარდა იმისა, რაც დადგენილი იყო პარტიული ყრილობის მიერ; ის მხოლოდ იმეორებს მემარცხენე ლიდერების სიტყვებს და ამავე წერილს დასძენს შემდეგ განცხადებას: საქსონიის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შესძლეს მოგერიება მოსკოვის მიერ წამოყენებულ 21 პირობის", რომ „კომუნისტი მინისტრები უნდა ყოფილიყვნენ ნამდვილად შეირმები მოსკოვის მიერ ნაკარნახევი აჯანყებითი განზრახვებისათვის" და სხვ... მათ შესწევთ გამბედაობა მიაწერონ კომუნისტებს შემდეგი როლი:

„დემოკრატებს, რომლებმაც უკანასკნელ კვირაში შექმნეს შესაძლებლობა სოციალისტური უმცირესობის მთავრობის არსებობისათვის, აშკარად განუცხადეს, რომ გართულება საქსონიის პოლიტიკაში გამოწვეულია მათ მიერ. თუ ისინი კვლავ გამოიჩენენ ისეთ მისწრაფებას, რომლებმაც ერთი წლის წინ გამოიწვია ლანდტაგის გაშვება, მაშინ კვლავ უნდა გადაიდგას ნაბიჯი იქითკენ, რომ კომუნისტებთან ერთად შესაძლებელი შეიქმნეს საერთო მთავრობის პლატფორმის მიღწევა".

ასეთია „სინდისიანობა",—რომლისაც [illegible] კომუნისტები [illegible] [illegible] [illegible] ზის წარმომადგენლებს, ჰქონდათ გამბედაობა განეცხადებინა, რომ ზედმეტია მისი თანამოსახელეთა გამოსვლა, ვინაიდან ის არსებითად სავსებით ეთანხმება მომხსენებელს ოპოზიციიდან ზენდერს,—თვალები უნდა აეხილოს მუშებს ამ „მემარცხენე" ლიდერებზე. ეს უკანასკნელები, მუშებისათვის ღალატის ცდაში, არაფრით არ განირჩევიან მემარჯვენეებისაგან. მათ მიზნათ დაისახეს ის, რომ ამხედრებული მუშათა მასები გერმანიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გამოიყენონ გახრწნილ რეფორმისტულ პოლიტიკისათვის სამსახურში. მუშები ამბობენ, რომ ხსნა და გაწმენდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის შესაძლებელია, რომ ოპოზიცია იმყოფება უმრავლესობაში და ცდილობს მემარჯვენე ლიდერების გამორიცხვა/ ისინი ხელმძღვანელობენ ამ მთავარი არგუმენტით, რომ აუცილებელია სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთლიანობის დაცვა.

კომუნისტებმა უნდა განუცხადონ სოციალ-დემოკრატ მუშებს, რომ ეს ლაყბობაა, გაიძვერობა და მოტყუება. ისინი, რომლებმაც მიიღეს კანონი საგანგებო უფლებების შესახებ და იკისრეს სამხედრო დიქტატურის ლაქიების როლი, როგორ შესძლებენ გერმანიის გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაწმენდას? ხოლო თუ ველსები და შეიდემანელები მიიღით ვინმესგან რაიმე საფრთხე, ისინი [illegible] ხებენ მათ ამაზე პარტიიდან გამორიცხვით. შეუძლებელია [illegible] იქონიოთ ისე [illegible] გახრწნილ პარტიის გაწმენდის [illegible]ვილიც, როგორსაც ამჟამად წარმოადგენს გერმანიის გაერთიანებ[illegible] სოც.-დემ. პარტია. მუშათა კლასი კიდევ უფრო ნაკლებათ, ვინემ [illegible] დაინტერესებულია მუშების [illegible]ლიმე ახალ ცენტრისტულ პარტიის მოქცევით. კომუნისტებმა ყოვლის მხრივ წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ კრისპინების, ლედების და [illegible] კომპანიის ამ გეგმების რეალიზაციას.

მუშები, რომლებიც ჯერ [illegible] მიჰყვებიან გერმანიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიას და [illegible] ეხლა უკვე დარწმუნდნენ, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია [illegible] გაკოტრდა და გაიხრწნა [illegible] ვინაიდან ბურჟუაზია ცოცხლ[illegible] ხედრო დიქტატურით; მუშებ[illegible] მელთაც სურთ ბრძოლა [illegible] ციისა და დაბეჩავების [illegible] —შემდეგში აღარ უნდა [illegible] ხმონ ასეთ ცალმხრივ გადაწყ[illegible]ლებებს.

გერმანიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებთან და მთელ ამ გახრწნილ პარტიასთან საბოლოოდ უნდა იქნეს გაწყვეტილი ყოველგვარი კავშირი. რევოლუციონურმა მუშებმა ბოლო [illegible] მოუღონ ამ პარტიას, რომელიც [illegible] ცდილობს კიდევ [illegible] პროლეტარიატის [illegible] [illegible]ნისტურ კონტრ-რევოლ[illegible].

გერმანიის გაერთიანებულ [illegible] დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია—ინტენსიური მუშაობა [illegible] კომუნისტ მუშების [illegible] ფაბრიკებში და ქარხნებში.

გერმანიის კომპარტია, რომ[illegible] არ ეშინია აკრძალვის, წარმოადგენს პროლეტარიატის ერთადერთ რევოლუციონურ მასიურ პარტიას, რომელიც რაზმავს პროლეტარულ ძალებს კონტრ-რევოლუციასთან გადამწყვეტი ბრძოლის გასამართავად.

რევოლუციონურმა მუშებმა მთელი ენერგიით ხელი უნდა მიჰყონ მუშაობას პროფკავშირებში, რათა პირველყოვლისა დაჩქარებული იქნეს გერმანიის გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაცია და პროლეტარიატის მობილიზაცია.

---

*) „როტე შტურმფანე" (ბრძოლის წითელი დროშა) არის ორგანო დღეს არალეგალური კომუნისტური პარტიისა გერმანიაში. ეს წერილი ამოღებულია ამ გაზეთიდან და ახასიათებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, რედ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

რეაქცია თავისიანის წინააღმდეგ

გერმანიაში დაიწყო სოციალ-დემოკრატების დევნა

საქარხნო კომიტეტების არჩევნებში იმარჯვებენ კომუნისტები

სამუშაო დღის საკითხი: მთავრობამ ყველა დაწესებულებებში გაადიდა სამუშაო დღე. ზოგიერთ სამრეწველო დარგში შემოიღეს 59 სამუშაო საათი კვირაში.

სოციალ-გამყიდველების ბანაკში: სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა წიგნი მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ.

ზოგიერთი სოციალ-დემოკრატები გაზეთში სწერენ, რომ აუცილებელია სამუშაო დღის კიდევ უფრო გადიდება.

რეაქციის თარეში

სამხედრო დიქტატურა—სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ

ბერლინი. 31 დეკემბერი. უკანასკნელ ხანებში სამხედრო დიქტატურამ გააძლიერა თავდასხმები სოც.-დემოკრატიაზე და კერძოთ სოციალ-დემოკრატიულ პრესაზე.

პასუხისგებაშია მიცემული გაზ. „ფრანკფურტერ ფოლკსშტიმე"-ს რედაქტორი, „სახელმწიფო ღალატისათვის", რაც გამოიხატა მემარჯვენე ორგანიზაციების მოღვაწეობის გამომჟღავნებაში.

მთელ გერმანიაში აღძრულია 1200 ანალოგიური ბრალდება სოციალ-დემოკრატიულ პრესის წინააღმდეგ. მთელ რიგ [illegible] აკრძალულია სოცი[illegible] კრებები. აკრძალ[illegible] საარჩევნო კრება, რომელიც მოეწყო შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ზოლმანმა.

დახურეს „ბერლინერ ფოლკსციტუნგ" და „კენიგსბერგერ ფოლკსცაიტუნგ", რომლებმაც პროტესტი განაცხადეს სამხედრო ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ.

მთავრობა არავითარ ანგარიშს არ უწევს პარლამენტის საკონტროლო კომისიას, რომელიც არჩეულია იმ პროექტების განსახილველად, რომლებსაც აწყობენს მთავრობა რეიხსტაგის გარეშე

სოციალ-დემოკრატიულ წრეებში ძლიერ აღშფოთებული არიან. ჰილფერდინგმა, ჰერცმა და სხვა სოციალ-დემოკრატებმა ინახულეს მარქსი და მოსთხოვეს განსაკუთრებული წესების მოხსნა.

მთავრობის წრეებში სოციალ-დემოკრატების პროტესტს დიდი მნიშ[illegible]

მთავრობა „ისვენებს"

სამწუხარო ახალი წელი

პარიზი. 2 იანვარი. შტრეზემანი თავის საახალწლო მიმართვაში გაზეთ „ციეტ"-ის მკითხველებისადმი პესიმისტურად ასურათებს გერმანიის მდგომარეობას; გერმანიას, მისი აზრით, ამ ჟამათ არ შეუძლია საკონტრიბუციო ვალდებულებათა შესრულება.

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების კრიზისი

ბერლინი 2 იანვარი. გენერალმა დეგუტმა და ტირარმა განიხილეს გერმანიის მთავრობის წინადადებები და თავის დასკვნაში ურჩიეს პარიზის მთავრობას უარყოს ეს წინადადებები.

ბრიუსელიდან მიღებულ მეორე ცნობის თანახმად, ტეხნიკურმა ექსპერტებმა, რომლებმაც საფრანგეთის და ბელგიის მთავრობების დავალებით განიხილეს გერმანიის უკანასკნელი ნოტა, წამოაყენეს მთელი რიგი საბუთებისა გერმანიის მთავრობის წინადადების წინააღმდეგ. „ეტუალ ბელჟ"-ის ცნობების თანახმად, საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებმა გამოიმუშავეს პასუხი, რომელიც გაეგზავნება გერმანიას ახალი წლის შემდეგ.

სამუშაო დღის საკითხი

ბრძოლა სამუშაო დღის გადიდებისათვის.

ბერლინი. 31 დეკემბერი. ბერლინის გაზეთების გამომცემლობათა წარმომადგენლების თათბირმა გადაწყვიტა დაითხოვოს მუშები და მოსამსახურეები კოლექტიურ ხელშეკრულების ვადის გასვლის მომენტისა[illegible] [illegible] გაზეთების საწარმოების მეპატრონეთა გადაწყვეტილება დაკავშირებულია შრომის სამინისტროს განკარგულებასთან, რომლითაც [illegible] 54 საათის სამუშაო [illegible]

[illegible]

ბერლინი 31 დეკემბ. [illegible]

[illegible]მანიის ნახშირის რაიონის მუშების კონფერენციამ ერთხმად გაილაშქრა სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ და მიმართა საიმპერიო შრომის სამინისტროს ენერგიული მოთხოვნილებით დაიცვას მუშების უფლებები მეწარმეთა უკანონო თავდასხმისაგან.

59 საათის სამუშაო კვირა მეტალის მრეწველობაში.

ბერლინი. 31 დეკემბერი. მეტალის მრეწველობის მეწარმეთა კავშირი დიუსელდორფში მუშების მიმართ გამოშვებულ მოწოდებაში იტყობინება, რომ **[illegible]რიდან ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიის ფოლადის მრეწველობაში შემოღებული იქნება 59 საათის სამუშაო კვირა.**

თვითნებური განკარგულება

ბერლინი. 31 დეკ. გამოქვეყნდა **მთავრობის განკარგულება,** რომლითაც [illegible] სახელმწიფო მოსამსახურეების [illegible] 54 საათის [illegible] კვირა. ეს განკარგულება არ [illegible] განხილული პარლამენტის [illegible] კონტროლო კომისიის მიერ. [illegible] ლედების კავშირის პროტესტი [illegible] ვებული იქნა განუხილველად.

[illegible] დღის გაგრძელება [illegible]

[illegible] 31 დეკ. შრომის სამინ[illegible] 5 არსებულ სამრეწ[illegible] [illegible] გადაწყვეტ[illegible] [illegible] კების მოსამსახურეთ[illegible] [illegible] 54 საათის სამ[illegible]

მუშათა მოძრაობა

მეტალისტების გაფიცვა.

ბერლინი. 31 დეკემ. შრომის ხელფასის შემცირების გამო, ბერლინის [illegible] მრეწველობის ზოგიერთ [illegible] [illegible] გაფიცვა. მოლაპარაკებამ [illegible] ორგანი[illegible] და მრეწველებს შორის შე[illegible] გამოიღო. მუშების წარმო[illegible] მოითხოვენ შრომის სა[illegible]სტროს ჩარევას ამ საქმეში.

შეტაკება უმუშევრებთან.

[illegible] . 31 დეკემ. აუგსბურგში [illegible] ბრბომ თავი მოიყარა ქალაქის გამგეობის შენობის [illegible] მოითხოვა დახმარების მიცემა. [illegible] გარეკა ბრბო და [illegible] მრავალი დემონსტრანტი.

[illegible] შემცირების წინააღმდეგ.

[illegible] 31 დეკემ. მეტალისტ[illegible] კავშირის წარმომა[illegible] გადაწყვიტა [illegible] იბრძოლოს შრომის [illegible] შემცირების წინააღმდეგ [illegible] მოუწოდოს მუშებს მიატოვონ სა[illegible] იმ შემთხვევაში, თუ შემცირე[illegible] იქნება შრომის ხელფასი.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ახალი არჩევნები.

ბერლინი. 31 დეკემ. მეჭედავთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 12 ადგილი, ქრისტიანულმა დემოკრატებმა—3, კომუნისტებმა—7 ადგილი. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღეს 81 წარმოების მუშებმა.

კომუნისტების გამარჯვება.

ბერლინი. 31 დეკ. ბერლინის კაბელის ქარხნიდან დაითხოვეს 3.000 მუშა, მათ რიცხვში კომუნისტები—საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის წევრები. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის ახალ არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 18 ადგილი, სოციალ-დემოკრატებმა—3 და ქრისტიანულმა დემოკრატებმა—1. ახალ არჩევნებამდის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტში კომუნისტებს ჰქონდათ 15 ადგილი, სოციალ დემოკრატებს—7.

[illegible] კომუნისტების.

ბერლინი. 31 დეკემ. მეკლენბურგის სამხედრო სარდლობამ, მიუხედავად რეიხსტაგის იურიდიულ კომისიის დადგენილებისა, აუკრძალა კომუნისტებს თავისი სიის წამოყენება არჩევნებში.

სოციალ-გამყიდველების ბანაკში

განხეთქილება სოც.-დემოკრატებს შორის.

ბერლინი. 31 დეკემბერი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ც. კ. გამოუშვა ბროშიურა, რომელიც მიმართულია მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ. ბროშიურაში მოყვანილია ოპოზიციის წერილი, რომელშიაც ოპოზიცია ვითომდა მოუწოდებს პროვინციელ ამრჩევლებს მხარი დაუჭირონ ოპოზიციას. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ წერილი ყალბია და რომ მას არასოდეს არ მიუმართავს პროვინციელ ორგანიზაციებისათვის ასეთი წერილით.

სოციალ-დემოკრატების თეორია და პრაქტიკა.

ბერლინი. 31 დეკემბერი. სოციალ-დემოკრატმა მაქს კოგანმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც საჭიროდ აღიარებს სამუშაო დღის გადიდებას. კოგანი უსაყვედურებს რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას, რომ ის დაკმაყოფილდა მხოლოდ კანონ-პროექტის მხარის დაჭერით.

გერმანიის ამბების გამოძახილი

საბერძნეთის მთავრობის პროტესტი.

ბერლინი. 31 დეკემ. საბერძნეთის მთავრობამ გერმანიის მთავრობას გაუგზავნა პროტესტი იმის გამო, რომ გერმანიის მთავრობამ შეუწყვიტა მას ნატურით მიწოდება რეპარაციების ანგარიშში.

მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის განცხადება.

ბერლინი. 31 დეკემბერი. იმის გამო, რომ ჰამბურგის ხელისუფლებამ აუკრძალა მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტს შემოწირულებათა შეგროვება, მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ის აღნიშნავს, რომ **ის არ არის რევოლუციონური ორგანიზაცია, მისი მიზანია მხოლოდ დახმარება აღმოუჩინოს გერმანიის დამშეულ მუშებს და ბავშვებს.** მისი საშუალებები შესდგება საერთაშორისო პროლეტარიატის შემოწირულებათაგან, რაც პროლეტარულ ხასიათს აძლევს ორგანიზაციას და ანსხვავებს მას ბურჟუაზიულ ორგანიზაციებისაგან. მუშათა საერთაშორისო დახმარების ცენტრალურ კომიტეტში შედიან მუშათა პარტიების და ინტელიგენციის წარმომადგენლები. გერმანიის კომიტეტის თავმჯდომარეთ არის რეიხსტაგის დეპუტატი გურმი. კომიტეტის განკარგულებაში ჰოლანდიის მუშებისაგან შემოვიდა 8.000 ამანათი სურსათით, რომელთაგან 4.000—დანიშნულია პროფკავშირების ბერლინის და ჰამბურგის კომისიისათვის. დასასრულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტი მხოლოდ პრაქტიკულ დახმარებას უწევს დამშეულთ.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საფრანგეთი განაგრძობს მტრულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ

საფრანგეთის მთავრობა ხელს უწყობს მცირე ანტანტას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მუშაობის გაძლიერებაში. ამერიკაში. სენატის კომისია აპირებს გამოყოს სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავს საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს.

ამერიკაში

ბოლშევიკურ პროპაგანდის მზადება.

ნიუ-იორკი. 31 დეკემბერი. რესპუბლიკანელთა ლიდერი ლოჯი გამოვა იანვარში სენატში დეკლარაციით, რომელშიაც დაიცავს იუზის პოზიციას რუსეთის საკითხში. ლოჯის [illegible] მიზნად აქვს მოამზადოს [illegible] ომისათვის ხელსაყრელი [illegible], სანამ სენატის გარეშე [illegible] კომისია განიხილავს საკითხს. როგორც [illegible] კორესპონდენტს აცნობენ, [illegible] კომისია გამოყოფს თავ[illegible] [illegible]ნლობიდან ქვეკომისიას ხუთი წევრის შემადგენლობით და ბორას თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალება ამ საკითხის გარჩევა.

სწორი ინფორმაცია კონგრესის წევრებისათვის.

ნიუ-იორკი. 31 დეკემბერი. „უორკერ პარტი"-ს მდივანმა გაუგზავნა კონგრესის წევრებს კომინტერნის აღმასკომის მიერ 7 სექტემბერს გამოგზავნილ წერილების ასლი, რათა კონგრესის წევრებს საშუალება ჰქონდეს შეადარონ კომუნიზმის ნამდვილ ტენდენციების გამომხატველი საბუთები იუზის მიერ გამოქვეყნებულ ყალბ საბუთებს.

საფრანგეთში

[illegible] საბჭოთა კავშირის მიმართ.

მოსკოვი. 1 იანვ. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ჩიჩერინმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის [illegible] გაუმჯობესება და გა[illegible], რომ მხოლოდ საფრანგეთის მთავრობა ეწევა მტრულ პოლიტიკას საბჭოთა რუსეთის მიმართ, თუმცა თვით საფრანგეთის საზოგადოებრივ წრეებში სულ უფრო იზრდება მისწრაფება საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიურ კავშირის აღდგენისაკენ.

ევროპის საერთაშორისო მდგომარეობა ვერ მოწესრიგდება მანამდე, **ვიდრე საფრანგეთის დიპლომატია განაგრძობს რუსეთისადმი მტრულ მუშაობას. საფრანგეთი აძლევს სამხედრო კრედიტებს პოლონეთს და მცირე ანტანტის სახელმწიფოებს, უგზავნის მათ იარაღს და სამხედრო ინსტრუქტორებს და ხდებს მათთან ხელშეკრულებებს, რათა გაამწვავოს ამ სახელმწიფოებში მტრობა საბჭოთა კავშირის მიმართ.**

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის მისწრაფება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ ხვდება საფრანგეთის წინააღმდეგობას.

საფრანგეთის ელჩი ჰელსინგფორსში თავისი მთავრობის დახმარებას ჰპირდება ფინეთის მთავრობას.

საბჭოთა კავშირის და მისი მეზობელ ქვეყნების ურთიერთ შეთანხმებასაც წინ ეღობება საფრანგეთის [illegible] დიპლომატია. საფრანგეთი ხელს უშლის მუსოლინის დასდოს ჩვენთან შეთანხმება და თვით ავღანისტანში საფრანგეთის ელჩი მტრულ პროპაგანდას ეწევა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმების პირველ პირობას წარმოადგენს საფრანგეთის დიპლომატიის ამ პროპაგანდის შეწყვეტა. სენის ტრიბუნალის დადგენილებამ ბუნატიანის და „ოპტორგ"-ის საქმის გამო წაგვართვა საშუალება გამოგვეტანა საფრანგეთიდან ჩვენთვის შესყიდული საქონლები, რადგან პუანკარეს განმარტებით, საფრანგეთის სასამართლოებს თამამად შეუძლიათ არ გაუწიონ არავითარი ანგარიში საბჭოთა კავშირის არ ცნობილ მთავრობის მოქმედებებს. საფრანგეთის ეხლანდელ მთავრობის წყალობით, ჩვენ მოკლებული ვართ თუნდაც ოდნავათ ნორმალურ დამოკიდებულებას საფრანგეთთან, რის გამო იძულებული ვართ შეურიგდეთ მასთან სავაჭრო ურთიერთობის შეუძლებლობას და ურჩიოთ ჩვენს სამეურნეო ორგანოებს დიდი სიფრთხილე გამოიჩინონ საფრანგეთის ფირმების წინადადებათა განხილვაში.

ახალი საფრთხე

გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ საფრანგეთ-ჩეხის ხელშეკრულებამ აღელვება გამოიწვია იტალიაში, ინგლისში და [illegible]ნეთში.

გერმანიის პრესის აზრით, საფრანგეთ-ჩეხის თავდაცვითი [illegible] შემდეგში გადაიქცევა თავდასხმითი ხელშეკრუ[illegible].

პოლონეთის ბურჟუაზიული პრესა აღშფოთებულია საფრანგეთ-ჩეხის ხელშეკრულებით.

საფრანგეთის პოლიტიკის იარაღი.

ბერლინი. 31 დეკ. გერმანიის პრესა კომენტარიებს უკეთებს საფრანგეთ-ჩეხის ხელშეკრულებას.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი აღნიშნავს, რომ თავდაცვითი ხელშეკრულებას მოჰყვება თავდასხმის ხელშეკრულება.

[illegible]მანის ორგანო „ციტ"-ი [illegible], რომ ჩეხო-სლოვაკია გახდა საფრანგეთის პოლიტიკის იარაღი. გერმანიის პრესის საერთო აზრის თანახმად, აუცილებელია საფრანგეთ-პოლონეთის დამოკიდებულებათა გართულება. მათ ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს ის [illegible]მოება, რომელსაც ადგილი აქვს [illegible]ლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიის შორის. ზოგიერთი გაზეთები ფიქრობენ, რომ საფრანგეთ-ჩეხის ხელშეკრულებებს მიზნათ აქვს ხელი [illegible]შალოს გერმანიის დაახლოვებას საბჭოთა რუსეთთან. მთელი პრესა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადებამ დიდი აღელვება გამოიწვია რომში, ლონდონში და ვარშავაში. გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ საფრანგეთის ჰეგემონიის გაძლიერებას ევროპაში წინააღმდეგობას გაუწევენ სხვა დიდი სახელმწიფოები.

სერიოზული საფრთხე

ვარშავა. 31 დეკემ. პოლონეთის ბურჟუაზიული წრეები მეტად აღელვებულნი არიან ცნობით საფრანგეთ-ჩეხის ხელშეკრულების შესახებ: მათი აზრით, ეს ხელშეკრულება სერიოზულ საფრთხეს უმზადებს საფრანგეთ-პოლონეთის მეგობრობას. „კურიერ პოლსკი" მოითხოვს პოლონეთის დიპლომატიის დაუყოვნებლივ ჩარევას ამ საქმეში; გაზეთის აზრით, პოლონეთის დიპლომატიამ უნდა შეინარჩუნოს მთავარი როლი იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც შეეხება საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობას. „რაბოტნიკ"-ი აღნიშნავს, რომ მოლაპარაკებაში ჩეხო-სლოვაკიასა და საფრანგეთს შორის გადამწყვეტი როლი ითამაშა იმედებმა ურთიერთობის ჩქარი მოგვარების შესახებ საბჭოთა კავშირთან. ამ გაზეთის აზრით, საფრანგეთს უნდა აერჩია პოლონეთსა და რუმინეთს შორის—ერთის მხრივ და ჩეხო-სლოვაკიასა და სამხრეთ სლავიის შორის, მეორეს მხრივ. ბუნებრივია, რომ ის გადიხარა ამ უკანასკნელთა მხარეს.

გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომი „რეჩ პოსპოლიტა" აღნიშნავს, რომ **საკითხი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ ეხლა უფრო მეტი შანსები აქვს დადებითად გადაწყვეტისათვის, ვიდრე ოდესმე.** გაზეთი წინადადებას აძლევს მთავრობას, რომ მან თვალყური ადევნოს იმას, რომ საბჭოთა კავშირთან დადებულმა მომავალმა ხელშეკრულებებმა არ შელახონ პოლონეთის ინტერესები.

ინგლის-ავღანისტანის კონფლიქტი

[illegible] ავღანისტანის საზღვრებზე დააყენა ჯარი. ინგლის-ინდოეთის პრესა განაგრძობს კამპანიას ავღანისტანის და საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობის წინააღმდეგ.

გაზეთი „ობსერვერი" სწერს, რომ ინგლის-ავღანისტანის კონფლიქტი აცილებული იქნება საბჭოთა კავშირის ცნობით.

მეტად სერიოზული მდგომარეობა.

კაბული. 31 დეკემ. გრძელდება ინგლისის ჯარების თავის მოყრა ავღანისტანის საზღვრებთან. პეშავერში აკრძალულია ღამით სიარული. დროებით გაუქმებულია [illegible]ტარებელი, რომელიც ღამით მოდიოდა პეშავერში. ბომბეის რკინის გზის ხაზი მიყვანილია ავღანისტანის საზღვრამდის. ქაბულის სამხედრო წრეები მდგომარეობას მეტად სერიოზულად სთვლიან.

[illegible] ბრალდებანი.

[illegible] 31 დეკემ. ინგლის-ინდოე[illegible] [illegible] დროს იღაშქრებს აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაზეთი „პაიონერ"-ი ბრალსა სდებს ავღანისტანს იმაში, რომ ის აგროვებსო რაზმებს მოსაზღვრე მოდგმებიდან, რომელნიც ინგლისის ქვეშევრდომებათ ითვლებიან. გაზეთი ბრალსა სდებს აგრეთვე საბჭოთა მთავრობას „ბოროტ" განზრახვებში ავღანისტანისა და ინდოეთის მიმართ. ზოგიერთი გაზეთები აღნიშნავენ იმას, თითქოს სპარსეთში სწარმოებდეს [illegible] პროპაგანდა.

მეორეს მხრივ, [illegible] გაზეთი „ბომბეი კრონიკლ"-ი სწერს: „ინდოეთს არ უნდა [illegible] ომი ავღანისტანთან და მოსაზღვრე [illegible]გმებთან: ათეული მილიონი რუპიების [illegible] მოდგმების „განათლებაზე" [illegible] [illegible]ბით. ინდოეთი არ დაუშვებს სამხედრო ხარჯების შემდეგ ზრდას".

ხსნა—რუსეთთან კავშირში.

ლონდონი. 31 დეკემბერი. გარვინი გაზეთ „ობსერვერ"-ში აცხადებს, რომ ავღანისტანთან არ მოხდებოდა დამოკიდებულების გართულება, რომ რუსეთთან არსებობდეს [illegible]. გარვინი ფიქრობს, რომ 1924 წლის განმავლობაში მოგვარებული იქნება საბოლოოთ რუსეთთან დამოკიდებულება.

მდგომარეობა პოლონეთში

მახნო აღტაცებულია პოლონეთის მართლმსაჯულებით.

ვარშავა. 31 დეკემბერი. მახნომ გაზეთში „კურიერ პოლსკი" მოათავსა ღია წერილი „პოლონეთის კულტურულ საზოგადოებისადმი", რომელშიც აღტაცებას გამოსთქვამს პოლონეთის მართლმსაჯულების გამო და აცხადებს, რომ ვარშავის სასამართლოს განაჩენმა სრულიად გაჰფანტა აზრი მისი, მახნოს, ბანდიტიზმის პოლონეთისადმი მტრული დამოკიდებულების შესახებ.

ამავე დროს ქუჩურ გაზეთ „ექსპრეს"-ში დაიბეჭდა საუბარი მახნოსთან, რომელშიც უკანასკნელი აცხადებს, რომ მისი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი არ შეცვლილა: ის განაგრძობს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებასთან უკრაინაში მყოფ მისი ერთგული ხალხის და პოლონეთში გადმოხვეწილი ემიგრანტების დახმარებით, რომლებთანაც ის კავშირს დაიჭერს.

სიძვირე მატულობს, შრომის ხელფასი ეცემა.

ვარშავა. 31 დეკემ. იანვრიდან პოლონეთის რკინისგზებზე შემოღებული იქნება ახალი ტარიფი ოქროს ანგარიშით, რაც მგზავრობის ფასს ასი პროც.-ით გაადიდებს. ტელეფონით სარგებლობის ფასი და სხვა გადასახადები გამოანგარიშებული იქნებიან ოქროს ფრანკის კურსით.

მუშების და სახელმწიფო მოსამსახურეების შრომის ხელფასი კი ისევ ძველი ქაღალდის მარკების ანგარიშით რჩება.

იაპონიის ამბები

ფაშისტები მუშაობენ.

ტოკიო. 31 დეკ. ფაშისტური ბანდები შეიჭრნენ შინაგან საქმეთა მინისტრის გოტოს კაბინეტში და სიკვდილით დაემუქრნენ მას.

სეულში დააპატიმრეს 18 კორეელი.

კომუნისტების განთავისუფლება.

ტოკიო. 31 დეკ. ივნისში დატუსაღებული კომუნისტები განთავისუფლეს თავდებ ქვეშ.

რეგენტზე თავდასხმის გამოძახილი.

ტოკიო: 31 დეკემბერი. რეგენტთან ახლო მდგომ წრეებში ფიქრობენ, რომ რეგენტზე თავდასხმის გამო, პრემიერმა იამამოტამ თავი უნდა მოიკლას „ხარაკირი"-ს საშუალებით. ხმების მიხედვით, გოტოს განზრახვა აქვს თავი დაანებოს ყოველგვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ვიღაც უცნობმა გოტოს გაუგზავნა ხის კუბო.

ამინდი ევროპაში

წყალდიდობა პარიზში.

პარიზი. 2 იანვარი. სენა ადიდდა. სენას ზოგიერთი სანაპიროები წყალმა დაფარა. განუწყვეტლივ ცივი წვიმა მოდის.

მთელ იტალიაში თოვლი მოვიდა.

პარიზი. 2 იანვარი მთელს იტალიაში თოვლი მოვიდა. აიროლოში ზვავმა 15 სახლი დააზიანა.

ნამქერი ტიროლში

პარიზი. 2 იანვარი. ტიროლში ნამქერის დროს 7 კაცი დაიღუპა.

სხვადასხვა

ისპანია

ფაშიზმი თარეშობს.

პარიზი. 31 დეკემბერი, ვითომდა კომუნისტური შეთქმულების აღმოჩენის გამო, ისპანიაში გრძელდება კომუნისტების მასიური ჭერა. მარტო ბარსელონაში დაატუსაღეს 200 კომუნისტი.

ბულგარეთი

განაგრძობენ კომუნისტების დევნას.

ვენა. 31 დეკემბერი. ბულგარეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ სახელმწიფოში არსებობენ არალეგალური კომუნისტური ორგანიზაციები. ამის გამო განახლდა კომუნისტების დევნა. [illegible] მრავალი კომუ[illegible]

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობა

მეორე დღე

საღამოს სხდომა.

ამხ. ლაკობას მოხსენების შემდეგ იწყება აზრთა გაცვლა-გამოცვლა სახ. კომ. საბჭოს მოქმედებათა შესახებ.

კამათში მონაწილეობენ უმთავრესად პროვინციელი დელეგატები. მოკამათეთა საერთო აზრი ის არის, რომ საქართველოს განაპირა კუთხეებს ნაკლები ყურადღება ექცევა, რის გამოც ჩვენი სოფელი ჩამოქვეითდა როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად და ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩება ქალაქის სოფელთან დაახლოვების საკითხი.

მაგ. დეპუტატი **გოგოლაძე** მიაქცევს მთავრობის ყურადღებას მასზე, რომ სოფლის ჯანმრთელობის საქმე დიდ კრიზისს განიცდის, არ არის საექიმო პუნქტები და არც სამკურნალო საშუალებანი მოიპოვებიან. გლეხი თანახმაა გადასახადი გადაიხადოს, მაგრამ მისი მოსახლეობაზე გაწერა უმართებულოდ და უგეგმოდ ხდება. კოოპერაცია სოფლად ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, მოსამსახურეთა ჯამაგირი დიდია, რაც აუცილებლათ ფასების ზრდაზე მოქმედობს.

სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი ამხ. **ჯატიევი** აღნიშნავს, რომ ოსეთში უსახსრობის გამო ვერაფერი კეთდება. სახალხო ქონებას ნაკლები ყურადღება ექცევა,—ტყეები უწესრიგოთ იჩეხება—და პასუხის მომთხოვი არავინ არის. მაზრაღმასკომები უძლურნი არიან შეინახონ თემის აღმასკომები, რომელნიც უსახსრობის გამო ვერაფერს აკეთებენ.

ამხ. ლაგაზიძე ეხება [illegible] მოქმედებას, რომელიც ხშირად მიზანშეუწონელია იმ მხრივ, რომ აზღვევინებენ ქონებას ისეთ მოქალაქეთ, რომელთაც სახლის გადახურვის საშუალებაც არა აქვთ. იგი მოითხოვს აგრეთვე მეტი ყურადღება მიექცეს გზებს, რომელნიც სავსებით გაუვარგისდენ.

შემდეგ ლაპარაკობენ ამხ. ამხ. მიქირტუმოვი, ცაბაძე, მაისურაძე, (ტურა), დურგალიანი, ჯიჯაძე, ბახტაძე და სხვები.

ამხ. მგალობლიშვილი მაზრებისათვის დოტაციის გაცემის დროს მოითხოვს დაცული იქნეს ერთგვარი სისტემა და დოტაციები ნუ მიეცემა ისეთ მაზრებს, რომელნიც ამას არ საჭიროებენ.

დასასრულ მოკამათე დეპუტატებს პასუხს აძლევს მომხსენებელი ამხ. შ. ელიავა, რომელსაც სოფლის და ქალაქის კავშირის განსამტკიცებლად აუცილებლად მიაჩნია ყველა იმ ტკივილების განკურნება, რომელნიც აღნიშნული იყვნენ ყრილობაზე დეპუტატების მიერ.

შეკითხვაზე, ტარდება თუ არა [illegible] სარწმუნოების შესახებ, [illegible] უპასუხებს, რომ მთავრობა ძალდატანებით ზომებს ვერ [illegible]იღებს მორწმუნეთა წინააღმდეგ, ხოლო კომპარტია კი ვალდებულია ებრძოლოს ცრუმორწმუნეობას აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით.

რაც შეეხება გადასახადების უმარ[illegible] [illegible] ამის შედეგია, რომ სოფლის მოსახლეობის ქონებრივი მდგომარეობა შეუსწავლელია. ჩვენი ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად წრეულს მოეწყო სასოფლო სამეურნეო აღწერა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცენტ. სტატისტიკური სამმართველო. ამავე უწყებამ ჩაატარა ჩვენი ქალაქების და სხვა მრავალი ხასიათის აღწერა, რომელიც აუცილებელია გეგმაშეწონილი სახელმწიფოებრივი მუშაობის საწარმოებლად.

საერთოდ მომხსენებელს წინადადება შემოაქვს არჩეულ იქნას გენერალური კომისია, რომელიც შეისწავლის ყველა კუთხის ყველა გაჭირვება-ტკივილებს და გაეცნობა მათ საჭიროებს.

ამხანაგი ელიავას საპასუხო სიტყვის დასასრულ [illegible] იღებს რეზოლუციას, რომელიც იწონებს სახ. კომ. საბჭოს მოქმედებას.

ყრილობის სხდომა წყდება საღამოს 9 საათზე.

მესამე დღე

დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია.

მორიგ საკითხზე მოხსენებას კითხულობს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ამხ. თურქიაშვილი.

ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა და პერსპექტივები.

მომხსენებელი არკვევს იმ პირობებს, რომელშიაც უხდება მუშაობა საქ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. სასოფლო-მეურნეობის პრიმიტიული მდგომარეობა და ჩამოქვეითება საშუალებას უსპობს ჩვენს სამრეწველო დაწესებულებებს უხვად იქონიონ მარაგი წარმოებისათვის და გააფართოვონ თავიანთი მოქმედება. ძირითადი კაპიტალი საგრძნობლად დაზიანებულა, იგი მოითხოვს აღდგენას, რასაც დიდი სახსარი სჭირია. ს. მ. უ. ს. კრედიტს და სხვა დახმარებას არსაიდან ღებულობს და მოქმედობს საკუთარ საშუალებების ამარა. საკმაო საბრუნავი თანხის უქონლობა მეტად ავიწროებს ს. მ. უ. ს. მოქმედების ასპარეზს. ვალიუტის რყევა შეუძლებელს ხდის გეგმაშეწონილი ვაჭრობის წარმოებას, აქციზების სიჭარბე და სიდიდე დიდათ აძვირებს ნაწარმოებს, რომელიც მომხმარებლისათვის მიუწვდომი ხდება. რკ. გზის ფრახტიც ძალზე მოქმედობს პროდუქციის გაძვირებაზე. განსაკუთრებით მეტად მოისუსტებს საქონლის გასაღების საქმე.

ჩვენი კოოპერაცია მოკლებულია უნარს და საშუალებას სოფელს მიაწოდოს მრეწველობის პროდუქციები, რომელიც საწყობებში თვეობით აწყვია.

მიუხედავად ზემოჩამოთვლილი მნიშვნელოვანი დაბრკოლებისა, ჩვენი მრეწველობა მაინც პროგრესის გზაზე სდგას. 9 თვის განმავლობაში ჩვენი წარმოების პროდუქციის ღირებულება უდრის 7 მილიონ ოქროს მანეთს. ჩვენი მრეწველობის ყოველი დარგი იზრდება და წინ მიიწევს. 1921 წელთან შედარებით თამბაქოს წარმოება 8 პროცენტით გაიზარდა, საპნის წარმოება 127 პროცენტით, პოლიგრაფიულ წარმოების—105 პრ. საშუალოდ ჩვენმა წარმოებებმა 32 პროცენტით იმატა.

სამუშაო ხელფასის გადიდებამ გამოიწვია შრომის ნაყოფიერების ზრდა. შემდეგ მომხსენებელი გადადის თვითეულ საწარმოო დარგის მდგომარეობის მიმოხილვაზე. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მოხდა თამბაქოს ქარხნების კონცენტრაცია; ექვსი ქარხნის ნაცვლად დღეს მუშაობს სამი ქარხანა, მუშათა რიცხვი 300 კაცით შემცირდა; მიუხედავათ ამისა პროდუქცია გადიდდა და შრომის ინტენსივობამაც იმატა. შემოკლებული იქნა აგრეთვე ტყავეულობის წარმოებაც.

კონცენტრაციის წყალობით შესაძლებელი გახდა ხელფასის შეთანასწორება.

შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს ციფროვანი ცნობები თვითეული საწარმოო დარგის ფინანსიურ მდგომარეობაზე, შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ზრდაზე, ჭიათურის მარგანეცის და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების წლიურ დამუშავებაზე და ნედლეულობის მარაგზე.

სავაჭრო დარგში ჩამოშორებულ იქნენ შუამავლები—ოპტოვიკები, რომელნიც სხვადასხვა კომბინაციებით წარმოებისათვის დიდი ზარალი მოჰქონდათ.

დასასრულ, მომხსენებელი გადადის ჩვენი მრეწველობის მომავალ პერსპექტივებზე და იმ ღონისძიებაზე, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს ჩვენი მრეწველობის ასაღორძინებლად.

ამხ. ქოჩიკაშვილის შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ინჟინერს ამხ. ქუჩინაძეს.

საქართველოს ელექტროფიკაცია.

საქართველოს ელექტროფიკაცია, მომხსენებლის აზრით, აუცილებელი პირობაა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის და მსხვილი ინდუსტრიის წარმოშობა-განვითარებისათვის ნავთობის დიდი მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე ნავთის ნაწარმოებს საშიშლად აძვირებს და ამის გამო ნავთობის საშუალებით ჩვენი მრეწველობის შექმნა და აღორძინება განუხორციელებელი ოცნებაა. ხელისუფლება აუცილებლათ უნდა შეუდგეს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციას, რომელიც ორი მიმართულებით უნდა სწარმოებდეს: დიდი ელექტრო-სადგურების აგება მსხვილი მრეწველობის განსავითარებლათ და მეორე, შედარებით მცირე სადგურებისა,—მოსახლეობის კულტურულ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ელექტრო-ფიკაციის გატარების წესზე. მისი აზრით პირველ ხნობით საჭიროა ელექტრო-სადგურების აგების დაწყება იქ, სადაც მეტია მოსახლეობის სიმჭიდროვე და კულტურულ-ეკონომიური საჭიროება. მომხსენებელი საკმაოთ ვრცლად აცნობს ყრილობას იმ გეგმას, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს საქართველოს ელექტროფიკაცია. მომხსენებელი ასახელებს იმ ადგილებს, სადაც უფრო მოსახერხებელი და ამავე დროს მიზანშეწონილია დიდი სადგურების აგება. იგი იწყებს აღმოსავლეთ საქართველოდან მდინარე ხრამიდან და საათის ისრის მიმართულებით ჩამოთვლის ელექტრო-სადგურების ასაგებ ადგილებს. (მდ. ხრამის სადგური, [illegible], [illegible] წყლის ელ-სადგური, ინგურის, ტეხურის, ცხენის წყლის, რიონის და არაგვის ელ-სადგურები).

4. ამხ. თალაკვაძე სწერს, რომ მე „მეგობრულად“ ურჩევ მას გამოვიდეს პარტიიდან და შემდეგ ავტორიტეტულად აცხადებს, რომ ამხ. რუბენისათვის უფრო ადვილი იქნება პარტიის დატოვება, ვიდრე ამხ. თალაკვაძისათვის. ვსტოვებ რა გვერდზე საკითხს იმის შესახებ, ვისთვის უფრო ადვილია პარტიის დატოვება, მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ არავითარი წინადადება ამხ. თალაკვაძისათვის პარტიიდან გამოსვლის შესახებ, არ მიმიცია. მე ვწერდი იმის შესახებ, რომ როგორ შეუძლია კაცს, რომელიც ასე ტალახში სვრის პარტიას (თავისი შეცდომები აღიარა ამხ. თალაკვაძემ) დარჩეს ამ პარტიაში, როგორ შეუძლია, მაგალითად, ამხ. დარჩეს პარტიაში, თუ ის საჯაროთ აცხადებს, რომ ჩვენ პარტიაში „ბატონ-ყმური წესებია“? ასეთი ვაჟბატონები იყვნენ და ფრაქციული ბრძოლით გატაცებულნი აცხადებენ ამ სისულელეს. მე მსურდა მიმეთითებია ამხ. თალაკვაძისათვის იმაზე, რომ ის შემცდარია პარტიის მდგომარეობის დაფასებაში, ვინაიდან რომ ჩვენ მართლა გვქონდეს „სამხედრო წესები“, „ბატონ-ყმობა“ ჩვენ ფაქტიურად არ გვეყოლებოდა პარტია და არც ერთი თავისი თავის პატივისმცემელი რევოლუციონერი არ დარჩებოდა ამ პარტიაში თქვენც ამხ. თალაკვაძე, და მეც თქვენთან ერთად სიკვდილამდი რ. კ. პ. რიგებში ვიქნებით. მხოლოდ საჭირო არ არის პარტიის მდგომარეობის ისეთი ფერებით დახატვა, რომ თითეულ ამხანაგს შეუძლია გაკვირდეს და იკითხოს: თქვენ თვით რათა ხართ ისეთ პარტიაში, სადაც გაბატონებულია „სამხედრო წესები“, ისიც მეფის დროის, სადაც გაბატონებულია „ბატონ-ყმობა“?!

5. ამხ. თალაკვაძემ მესროლა მე ბრალდება: „თქვენ სურთ დააშინოთ პარტიის წევრები, მიჩქმალოთ აღძრული საკითხი“. ალბათ თქვენს „პარტიულ“ ამოცანებში შედის.

იმის შემდეგ, რაც ტფილისში დისკუსიამ ფართო ხასიათი მიიღო, როცა ტფილისის კომიტეტმა ყურადღების მაქსიმუმი დაუთმო ამ დისკუსიას, როცა ორი-სამი კვირის განმავლობაში [illegible] კრებებზე და საერთო საქალაქო კრებებზე [illegible] „პარტიის ახალი ამოცანების საკითხზე [illegible], შეგი რომ არ ცსთქვათ.

დასკვნები:

1. ამხ. თალაკვაძემ, თუ ყურადღებით წავიკითხავთ მის ორ წერილს, [illegible] მაგრამ მან აინაზღაურა თავისი შეცდომები პირადი, ხშირად მრისხანე გამოსვლებით ჩემს წინააღმდეგ. **ყველა ბრალდებები პირადად ჩემს წინააღმდეგ, დე ტფილისის მთელმა ორგანიზაციებმა განიხილონ.**

2 ამხ. თალაკვაძემ უადგილოდ მოიყვანა ჩვენი ძველი გვარდია. მე ის არ მიხსენებია, და „მეორე ხარისხის ოპოზიცია“ არ ჩამირიცხავს. მე მხედველობაში მყავდა პირადათ ამხ. თალაკვაძე, რომლისთვისაც თითქო არავის მიუცია უფლება ელაპარაკა მთელი ძველი გვარდიის სახელით, თუმცა თვითონ ის პარტიის ძველი წევრია.

მაგრამ ამხ. თალაკვაძის მიერ მეორე წერილში საკითხის დაყენება **აშკარავებს ჩვენი ოპოზიციის ბუნებას, რომლის ისრები მიმართულნი არიან ს. კ. პ. ც. კ. პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ, რომლის სურვილია პარტიული აპარატის შეცვლა, რომ კვლავ გაატარონ ძველი დაგმობილი პოლიტიკური ხაზი საქართველოში.**

როგორ მოექცა ჩვენი ტფილისის ორგანიზაცია ე. წ. „ოპოზიციას“ ეს იცის ყველამ, ვინც ეს თვით ამხ. თალაკვაძემაც.

დასასრულ ვიტყვი იმის შესახებ, რომ ამხ. თალაკვაძე ბევრს ლაპარაკობდა „ამხანაგის მსჯელობის წვრილწვრილი კრიტიკის“ შესახებ, ასეთი სათაური მისცა თავის წერილს, თვის წერილში კი პარტიის ძველი წევრისათვის დაუშვებელ დემაგოგიას, ამხანაგის ტალახში ამოსვრას ეწეოდა, იმ ამხანაგის, რომელთანაც კი ას პრესაში პოლემიკა უხდება. იმ დოგილას, სადაც ამხ. თალაკვაძეს ჩვენთვის დარიგების მოცემა სურდა, ეს იყო ხი მოუსხლტდა პირველივე სტრიქონებიდან.

ნუ ასწავლით სხვას იმას, რის შესრულება თვით თქვენ არ შეგიძლიათ, პატივცემულო ამხანაგო თალაკვაძე!

რუბენ.

პარტიის ახალი ამოცანების შესახებ

ჩვენი პარტიის მე-10 ყრილობა ღირსშესანიშნავ ადგილს დაიჭერს პარტიის ისტორიაში. ყრილობა შეიკრიბა და მუშაობდა იმ დროს, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში იწყებოდა გარდატეხის ხანა, თავდებოდა სამოქალაქო ომი და იწყებოდა მშვიდობიან აღმშენებლობის, აღორძინების დრო. ხანა სამხედრო კომუნიზმისა იცვლებოდა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ხანად. მე-10 ყრილობის მსჯელობის უმთავრესი საგანი გახდა სწორედ ეს გარდატეხის დრო. ყრილობა საზღვარს სდებს ამ ორ ხანას შორის, ღირსეულად აფასებს განვლილ სამოქალაქო ომის ხანას, შესაფერი დასკვნები გამოყავს და პარტიას მომავლისათვის ახალ გზებს უჩვენებს.

განვლილ სამოქალაქო ომის დროს ჩვენი პარტია წარმოადგენდა სამხედრო ბანაკს რკინის დისციპლინით და კონტრ-რევოლუციაზე გამარჯვების ურყევი სურვილით განმტკიცებულს. მას დიდი მოვალეობა აწვა თავზე, კონტრ-რევოლუციის კლანჭებიდან უნდა გამოეგლიჯა ერთად-ერთი მუშათა სახელმწიფო. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში [illegible] ამ დროს კომუნისტური პარტია ჩაბმული და არაჩვეულებრივი მტკიცე ნებისყოფა და ენერგია იყო საჭირო, რომ აქედან გამარჯვებული გამოსულიყო. ეს იყო მთავარი მიზანი და მას ეწირებოდა ყველაფერი მსხვერპლად. საჭირო იყო ნამდვილი სამხედრო წესები პარტიაში. ეს შეგნებული ჰქონდა პარტიის წევრსაც და ის უყოყმანოდ ემორჩილებოდა ყოველგვარ ბრძანებებსა და განკარგულებებს. მაშინ მსჯელობის დრო არ იყო, ყველაფერი გამარჯვებისთვის — ასეთი იყო მაშინდელი მთავარი ლოზუნგი. ასეთი დისციპლინის და მტკიცე ნების წყალობით პარტიამ მიაღწია ბრწყინვალე გამარჯვებას — იხსნა საბჭოთა ხელისუფლება.

სამოქალაქო ომი გათავდა. საბჭოთა ხელისუფლება გადადის მშვიდობიან აღმშენებლობის გზაზე. შევდივართ ახალი ეკონომიური პოლიტიკის სფეროში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ახლა ახალი კითხვები ისმება გადასაწყვეტი, ახალი ამოცანები იქრება განსახორციელებლათ — დანგრეულ [illegible] მეურნეობის აღდგენა და მით საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურათ გამაგრება. ცხადია, ახალ ხანას უნდა შეეფარდოს ჩვენი პარტიის შინაგანი ცხოვრებაც; მისი შინაწყობა, დარაზმვა უნდა მოხდეს ამ ახალ მიზნებთან შეფარდებით; უნდა გამოიცვალოს პარტიის საორგანიზაციო ფორმა. მე-X ყრილობა ამ გარემოებას უმთავრეს ყურადღებას აქცევს და შესაფერი დადგენილებებიც გამოაქვს. თუ სამოქალაქო ომის დროს საჭირო იყო პარტიის მილიტარიზაცია, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს ასეთი ფორმა ორგანიზაციისა ისტორიას უნდა ჩაბარდეს და მის მაგიერ პარტია უნდა გადავიდეს ახალ საორგანიზაციო ფორმაზე. მე-X ყრილობის რეზოლუცია გვილაპარაკებს, რომ „ასეთ ფორმათ უნდა ჩაითვალოს ფორმა მუშათა დემოკრატიისა. კურსი მუშათა დემოკრატიისკენ ისეთივე გამბედაობით და ენერგიით უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში, როგორც წარსულ ხანში ტარდებოდა პარტიის მილიტარიზაცია“. ამნაირად, ყრილობა აუცილებელ საჭიროებად სცნობს პარტიის ახალ საორგანიზაციო ფორმებში ჩამოყალიბებას. კურსი მუშათა დემოკრატიისკენ — აი პარტიის მორიგი ამოცანა. ახალ ხანაში ახალი გზით სიარული... საკითხი არ უნდა იქნას მიფუჩეჩებული, გადადებული, მივიწყებული, აუცილებელია მისი მტკიცეთ გატარება ცხოვრებაში, ამას ავალებს ყრილობა პარტ. ორგანიზაციებს.

რას გულისხმობს ყრილობა მუშათა დემოკრატიაში? ყრილობა იმავე რეზოლუციაში გვიხსნის, თუ რას ნიშნავს მუშათა დემოკრატია: „ორიენტაცია მუშათა დემოკრატიისკენ — ვკითხულობთ ყრილობის რეზოლუციაში — გულისხმობს ისეთ საორგანიზაციო ფორმას, როდესაც პარტიულ პოლიტიკის წარმოების დროს პარტიის ყველა წევრისთვის უზრუნველყოფილი იქნება მისი პირადი მონაწილეობა პარტიულ სხვადასხვა კითხვების გადაწყვეტაში და აგრეთვე პარტიის აღმშენებლობის საკითხში. ამ პრინციპზე აგებული ფორმა უარყოფს ყოველგვარ დანიშვნას ზევიდან. ყოველი სერიოზული საკითხი უნდა განხილულ იქნას ფართო მასაში... ასეთი ფორმა იძლევა ცხოვრების აუცილებლობის ხასიათს და სერიოზულ სახეს“. ასე, ყრილობამ გვიჩვენა გზა, მოგვცა მიმართულება და მოგვანდო ამ გზით სიარული.

აქ კითხვა იბადება, რა ვაკეთეთ ჩვენ, გავყევით თუ არა ყრილობის მიერ ნაჩვენებ გზას, განვახორციელეთ თუ არა პარტიის ახალი ამოცანები, გავატარეთ თუ არა ცხოვრებაში ყრილობის ყველა დადგენილებები, თუ ისევ ახალ ხანაშიც ძველი გზით განვაგრძობთ სიარულს? ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხს იძლევა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი ბელადთაგანი, ამხ. ზინოვიევი. ცენტრალურ ორგანოს „პრავდას“ 7 ნოემბრის ნომერში მან მოათავსა წერილი სათაურით: „პარტიის ახალი ამოცანები“, სადაც ამხ. ზინოვიევი სწერს: „უკანასკნელ დროს პარტიაში ჩვენ ვამჩნევთ ზედმეტ სიწყნარეს, ზოგან პირდაპირ კრიზისს“. ამხ. ზინოვიევის აზრით, ჩვენს პარტიაში უკანასკნელ დროს გამეფებული სიწყნარე, კრიზისი აიხსნება შემდეგით: „ჩვენი მთავარი უბედურებაა, ამბობს ის, მდგომარეობს იმაში, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხები მიდის ქვევით ზევიდან წინასწარ გადაწყვეტილი. ეს კვეცავს პარტიულ მასის შემოქმედებას“-ო. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიაში არ გატარებულა მუშათა დემოკრატია, დადგენილებები მხოლოდ დადგენილებებათ დარჩენილა, მის ცხოვრებაში გატარებას არავინ არ ცდილა. ახალ ხანაშიც ძველი, სამოქალაქო დროინდელ გზით განვაგრძეთ სიარული. ამან ჩვენს პარტიაში გამოიწვია ზედმეტი სიწყნარე და ზოგან საქმე კრიზისამდისაც კი მისულა.

მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი პარტიის ცხოვრებას ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში, ე. ი. იმ დროდან, როდესაც ჩვენს პარტიაში გარდატეხის ხანა დაიწყო და ჩვენ გადავედით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, — დავინახავთ არა ერთსა და ორ მაგალითს პარტიაში გამეფებულ არანორმალურ მდგომარეობისას, რასაც აუცილებლად მივყავართ კრიზისისკენ.

ავიღოთ საქართველოს ორგანიზაცია. აქ ფართო პარტიული მასა, სრულიად მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას მონაწილეობა მიიღოს პარტიულ, პროფესიონალურ და სხვ. აღმშენებლობაში. პარტიის წევრს არავინ არაფერს არ კითხავს. არამც თუ მნიშვნელოვანი, უბრალო, უმნიშვნელო საკითხიც კი ზევიდან მიდის, მასთან წინასწარ გადაწყვეტილი, ზევიდან დანიშვნისა და ზევიდან საკითხების გადაწყვეტის წესი მახინჯ სახეს იღებს.

დაწყებული მიყრუებული კუთხით და გათავებული ტფილისით ყველა მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი საკითხები წყდება პარტკომების მდივანთა კაბინეტებში ფართე პარტიული მასა მას გაიგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს საკითხები უკვე ცხოვრებაში ტარდება.

ცხადია, ასეთი არანორმალური მდგომარეობა აღუნებს პარტიულ ცხოვრებას, ქმნის მასაში გულგრილობას, უკარგავს სიხალისესა და ხასიათს.

არაა დასამალი, რომ ასეთმა მდგომარეობამ გაამეფა პარტიაში ბიუროკრატიზმი, ჩინოვნიკობა, კარიერიზმი; ასეთი სენით ვართ ჩვენ დღეს შეპყრობილნი. ამ სენს იმდენათ შევეჩვიეთ, რომ ყველაფერი ეს ჩვეულებრივ მოვლენად გვეჩვენება, თითქოს ეს ასეც უნდა იყოს. დაგვიკარგა ამ სენის საწინააღმდეგო ბრძოლის უნარი. საჭიროა ყველაფერი ეს გამოვიტანოთ გარეთ, სიმართლეს თვალებში შევხედოთ, როგორც ეს ნამდვილათ სჩვევია კომუნისტურ პარტიას, უარყოფით მხარეებს შევებრძოლოთ და გახურებული შანთით ამოვწვათ.

ისტორიული აუცილებლობა გვიკარნახებს შინაპარტიული მუშათა დემოკრატია გავატაროთ ცხოვრებაში ისეთივე ენერგიით და დაბეჯითებით, როგორც წინათ მილიტარიზაციას ვატარებდით. აქეთ მოგვიწოდებდა ამ ორი წლის წინათ მე-X ყრილობა, ამასვე გვირჩევს დღეს ამხ. ზინოვიევი.

მუშათა დემოკრატიის გატარება, — აი საით უნდა იყოს მიქცეული დღეს ჩვენი პარტიის მთავარი ყურადღება.

ალ-ნა.

რეზოლუციები

ტრამვაის იაჩეიკის დადგენილება 1923 წ. 14 დეკემბრის სხდომა. „პარტიის ახალ ამოცანების შესახებ“.

მოისმინა რა მოხსენება „პარტიის ახალ ამოცანების და შინაპარტიულ დემოკრატიის შესახებ“, ტრამვაის კამიაჩეიკა ერთხმად იღებს, როგორც საფუძველს, პეტროგრადის საგუბ. პარტკონფერენციის რეზოლუციას და საქ. კომპარტიის ტ. კ. წინადადებებს „პარტიის ახალ ამოცანების შესახებ“ და შუამდგომლობს შეცვლილ იქნას II მუხლი პარტიაში ახალ წევრების მიღების შესახებ: „გაადვილებულ იქნას პარტიაში შესვლა კვალიფიციურ მუშებისათვის“, შეიცვალოს „გაადვილებულ იქნას პარტიაში შესვლა დაზგასთან მომუშავეთათვის“.

ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის იაჩეიკა № 7 და მძიმე არტილერიის დივიზიონის იაჩეიკა № 12 გაერთიანებული კრების 1923 წ. 14 დეკემბრ დადგენილება: **„ჩვენი პარტიის ამოცანების შესახებ“.**

სავსებით უერთდებით პეტროგრადის საგუბერნიო კონფერენციის გადაწყვეტილებებს და ტ. კ. წინადადებებს.

ტ. კ. პრაქტიკულ წინადადებების დამატებად საჭიროდ ვსთვლით, მიექცეს ყურადღება ახალგ. კომკავშირის და ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებას და კომუნისტურ ყოფა-ცხოვრების და აგრეთვე პარტიულ ეთიკის საკითხებს.

შინამრეწველების იაჩეიკის სხდომის დადგენილება „პარტიის ახალ ამოცანების შესახებ“.

შინამრეწველების კომიაჩეიკის წევრთა საერთო დახურულმა კრებამ 14 დეკემბერს, მოისმინა რა ამხ. ქვანიას მოხსენება ამხ. ზინოვიევის სადისკუსიო წერილის გამო: „პარტიის ახალი ამოცანები“, ერთხმად დაადგინა: ამხ. ზინოვიევის მიერ წამოყენებული საკითხები არიან ჩვენი პარტიისათვის მეტად მტკივნეული საკითხები, რომლებიც ვერ ითმენენ გადადებას.

ამ საკითხის გადაუჭრელობამ თვალსაჩინოთ დაგვიმტკიცა ჩვენ, რამდენად უარყოფით გავლენას ახდენდა ეს ჩვენ პარტიულ ორგანიზაციების ცხოველმყოფლობაზე. გადაჭარბებულმა „შტილმა“ გამოიწვია პარტიული მუშაობის მოდუნება. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში პარტიის მუშაობის ხასიათთან ერთად უნდა შეიცვალოს პარტიულ ცხოვრების საორგანიზაციო ფორმებიც. სავსებით უნდა იქნას გატარებული რ. კ. პ. მეათე ყრილობის დებულებები საორგანიზაციო საკითხში. ამასთან [illegible] მუშათა დემოკრატიის პრინციპი საერთო კრებას არ ესმის ანარქო-მენშევიკურად მხოლოდ ქვევიდან ზევით, ან ბლანკისტურათ ზევიდან ქვევით, არამედ რევოლუციონურ მარქსიზმის მიხედვით: ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით.

კრება ამავე დროს საჭიროთ სთვლის პარტიისათვის სასტიკად დაიცვას მეათე ყრილობის დადგენილებანი პარტიის მთლიანობის, პარტიის შიგნით ფრაქციების და ჯგუფების შექმნის აბსოლიუტურათ შეუწყნარებლობის შესახებ.

კრება აგრეთვე აღნიშნავს, რომ საკონტროლო კომისიის კაბინეტური ხასიათის მუშაობა არ არის [illegible]ლური და საჭიროთ სთვლის [illegible] იქნას განხილული [illegible] და იაჩეიკებში ცეკას [illegible] დადგენილება პარტიის [illegible] საძლიერებლად ფართო პარტიულ და უპარტიო მუშათა მასებს შორის.

„ოქტომბრის“ კომიაჩეიკის სხდომის დადგენილება „პარტიის ახალ ამოცანების შესახებ“.

მხარს უჭერს რა ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რეზოლუციას პარტმშენებლობის შესახებ, რომელიც მიღებული იყო ცეკას პოლიტბიუროს და ცეკას პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე ა. წ. 5 დეკემბერს, ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების შესასრულებლად და უერთდება რა საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის მიერ წამოყენებულ პრაქტიკულ წინადადებებს, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპ. ფედერაციის გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებული გაერთიანებული კომიაჩეიკა № 20 დაჟინებით მოითხოვს ამ რეზოლუციის ცეკას პრაქტიკულ წინადადებების ცხოვრებაში გატარებას და პარტიულ რიგების განმტკიცების და მათი რიცხვობრივად გადიდების მიზნით ძირითად პირობად მიაჩნია შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

1. წარმოებულ იქნას გაბედული და ენერგიული ბრძოლა „ამხანაგებს“ შორის ფეხმოკიდებულ „კომუნისტურ ამპარტავნობის“ წინააღმდეგ

2. გლეხობასთან მჭიდრო კავშირის განმტკიცება მაზრებში პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე გამოცდილ, მომწიფებულ და ავტორიტეტულ პარტიულ და საბჭოთა მუშაკების გაგზავნით.

3. ამხ. ლენინის ლოზუნგის: „კომუნისტი იაფად უნდა დაუჯდეს სახელმწიფოს“ ცხოვრებაში ზედმიწევნითი გატარება.

მაშინ, როდესაც უბრალო პასუხისმგებელ ამხანაგებს არ მოეპოვებათ ბინები, ბოწყობილობა და სხვა, ზოგიერთ ამხანაგების ბინების და კაბინეტების მოსაწყობად იხარჯება მილიარდები.

4. შინაპარტიულ დემოკრატიის საკითხში იაჩეიკა იძლევა წინადადებას გაუქმებულ იქნას ზემდგომ ორგანიზაციების მიერ იაჩეიკების მდივნების დამტკიცება.

5. პარტიის წევრთა ინფორმაციის მიზნით, გარდა პერიოდული გამოცემათა, შემოღებულ იქნას ყოველთვიური ანუ პერიოდული საიდუმლო საინფორმაციო წერილები იაჩეიკებისადმი, რომლებშიაც გაშუქებული იქნება რაიონის მდგომარეობა და განზრახული ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ [illegible] მუშებსა და [illegible] შორის. (ასეთი წერილების საშუალებით პარტიის წევრები გაცნობილი იქნებიან საქმის ვითარებაში და თავიანთ [illegible] (ციით შესძლებენ [illegible] ნის მოხდენას).

6. სერიოზული ყურადღება მიექცეს პარტიის წევრთა [illegible] დაახლოვებას, რისთვისაც [illegible] პარტიული კლუბები უნდა მოეწყოს ისე, რომ ამხანაგები [illegible] დისკუსიისა ისვენებდნენ და [illegible] ბოდნენ იქ.

7 მოეწყოს [illegible] სახლი, დამყარდეს კავშირი [illegible] იმ სოფლებთან, საიდანაც [illegible] ჩამოაქვთ ტფილისში სასოფლო-მეურნეობის პროდუქტები, რათა ამ გლეხების ურმებით გაიგზავნოს სოფლებში გასასყიდათ ქალაქის მრეწველობის პროდუქტები.

II და IV რაიონების ელექტრონზე მომუშავეების იაჩეიკების 1923 წ. 14 დეკ. გაერთიანებულ სხდომის დადგენილება „პარტიის ახალ ამოცანების შესახებ“.

იზიარებს რა პეტროგრადის საგუბერნიო პარტკონფერენციის და ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რეზოლუციების თვალსაზრისს პარტიის ამოცანების შესახებ, ტფილისის ორგანიზაციის ელექტრონზე მომუშავეთა იაჩეიკების გაერთიანებული კრება ფიქრობს, რომ პარტიის ამოცანები ყველაფერს შეიცავენ. იაჩეიკების ყოველდღიური მუშაობის ამოცანებია პირველ ყოვლისა გააშუქონ ეს ამოცანები პარტიულ და უპარტიო მასების წინაშე [illegible] ეკონომიურ პოლიტიკის [illegible] პროლეტარიატის დიქტატურის [illegible] პროლეტარულ დიქტატურის გამომხატველი პარტიის დიქტატურის კონკრეტულ პირობებში გაატარონ ეს პრინციპში, განიხილონ რომ იგი, მონახონ შეცდომები და გაასწორონ ისინი.

მხოლოდ საქმიან, დაჟინებით მუშაობის დროს იაჩეიკებს შეუძლიათ გამოიყენონ ტფილისის კომიტეტის პრაქტიკული ღონისძიებანი, მისცენ მათ საქმიანი ხასიათი, აწარმოონ შესაძლებელი საქმიანი კრიტიკა და შეავსონ ისინი თავის შემოქმედებითი გამოცდილებით. პარტიის თვითეული წევრი, თვითეული იაჩეიკა, მთელი ჩვენი პარტიული კომიტეტ[illegible] ბით პასუხისმგებელი არიან ჩვენი პარტიის მთლიანობისა და ძლიერებისათვის და აქედან უნდა გამოსწვრონ ძალები შემოქმედებით მუშაობისათვის რეზოლუციაში აღნიშნულ საფუძვლებზე.

იაჩეიკა იწონებს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წინადადებას და იტოვებს უფლებას ცხოვრებაში გატარება ყველა 28 მუხლი.

[illegible] სახალხო კომისარიატის ცენტრალური [illegible] ტრანსპ[illegible] გაერთიანებული კომუჯრედის სხდომის დადგენილება „პარტიის ახალი ამოცანების შესახებ“.

23 წ. 14 დეკ.

ა) იღებს რა საფუძვლად საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის წინადადებებს, ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რეზოლუციას პარტიულ მშენებლობის შესახებ და პარტიის პეტროგრადის კონფერენციის დადგენილებას, კომუჯრედი აღნიშნავს:

1) მოკლე ხნის განმავლობაში საჭიროა პარტიულ ამხანაგების განვითარების დონის ამაღლება.

2) არავითარ შემთხვევაში არ [illegible] და იქნენ დაშვებული პარტიაში [illegible] ჯგუფები და ფრაქციები. [illegible] ჯგუფების და ფრაქციების [illegible] შობას უნდა გაეწიოს [illegible] ბრძოლა თვით ფრაქციონერების პარტიიდან გამორიცხვამდე.

3) საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა ფუფუნებასთან.

4) საჭიროა აგრეთვე დაუზოგავი [illegible]

[illegible]ს ვლაპარაკობდით, მეტად შევსხამ სისხლი და ხორცი“.

[illegible] უყურებს ამხ. ზინოვიევის მიერ წამოყენებულ საკითხებს ადგილობრივი ორგანიზაცია თუ არა?

„ზარია ვოსტოკა“-ში ამხ. რუბენი თავის წერილებში ებრძვის ზინოვიევის მიერ წამოყენებულ ყველა კითხვებს. [illegible] მისი წერილები დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს: ტფილისის ორგანიზაციაში თითქოს ყველაფერი რიგზეა. არის [illegible], მაგრამ საერთოდ კარგად არის საქმე [illegible] [illegible] ჩვენს დაბალ ორგანიზაციებში [illegible] [illegible] მაგრამ ჩვენცა [illegible] მოყვანილი ციფრები [illegible] მხოლოდ და მხოლოდ [illegible] უჯრედების და ორგანიზაციების [illegible] მდგომარეობაზე. ამ [illegible] მართლაც „კარგად“ [illegible] მაგრამ თუ მივუდგომელი [illegible] [illegible] არსებითად [illegible] [illegible] ორგანიზაციებ[illegible] [illegible] მდგომარეობას [illegible] სწორი შეხედულება. ჩვენ ხომ ვიცით, თუ რა შინაარსი აქვს ჩვენს მუშაობას. საქმე იმაში კი არ არის, რამდენი პროცენტი ესწრება სხდომებს (რასაკვირველია, მხედველობაში ესეც არის მისაღები) ან რამდენი კითხვა ირჩევა, არამედ ის, თუ რას აკეთებენ ამ კრებებზე და როგორ ირჩევა სხვადასხვა კითხვები. ჩვენ ვიცით, რომ ამ ციფრებს და სხვას აქვს მხოლოდ ფორმალური ხასიათი. პარტიის წევრი ესწრება კრებას იმიტომ, რომ ის [illegible] პარტიის გარეთ არ დარჩეს. პასუხისმგებელი ამხანაგები [illegible] კრებას და მოხსენებას აკეთებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ხელმძღვანელ ორგანიზაციის დავალება შეასრულონ, პარტიული ბევრარა მოისმინონ. უჯრედში კი განხილვა, გარჩევა საკითხებისა არ ხდება. პარტიის წევრები აზრთა გაცვლა-გამოცვლის და კამათის კითხვების გარშემო არ აწარმოებენ. კოლექტიურ აზროვნებას, წარმოშობილს აზრთა შეხლა-შემოხლის შემდეგ ადგილი არა აქვს. რათ ხდება ეს? იმიტომ, რომ ყველა კითხვები დაბალ ორგანიზაციებში [illegible] ზევიდან გადაწყვეტილი მიდის. ამასვე აღნიშნავს [illegible] ამხ. ზინოვიევი, როდესაც ამბობს, უმთავრესი ჩვენი უბედურება ის არის, რომ თითქმის ყველა დიდი კითხვები მიდის ზევიდან ქვევით უკვე გადაჭრილები. ეს ხელს უშლის პარტიის წევრების მთელი მასის შემოქმედებას, ამცირებს დაბალ უჯრედების თვითმოქმედებას“. როგორც ხედავთ, ამხ. რუბენ, საქმე იმაში კი არ ყოფილა, თუ რამდენი წევრი დაესწრო კრებას (20 თუ 10), არამედ იმაში, თუ რა კეთდება სინამდვილეში, და იჩენს თუ არა თვითმოქმედებას პარტიის წევრი. [illegible] ჩვენ ორგანიზაციებში [illegible] ზინოვიევის [illegible] საკითხები [illegible] დღეს, [illegible] პარტიის [illegible] აქვს აზრთა გაცვლა-გამოცვლისა. აქ გადამეტებულ ენერგიით მუშაობს მხოლოდ აპარატი, რაც სრულიად ჩრდილავს დაბალ ორგანიზაციების ლტოლვილებას და აქტივობას. რომ ასეთი მდგომარეობაა ჩვენს ტფილისის ორგანიზაციებში, ეს ყველა პარტიის წევრმა იცის. პროვინციებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ამ წერილის ავტორს ჰქონდა შემთხვევა პროვინციებში ამ კითხვის გარშემო ემუსაიფნა. სამაზრო პასუხისმგებელი ამხანაგები გაკვირვებით მეკითხებოდნენ — „განა შეიძლება რომელიმე კითხვის გარშემო მსჯელობაო, ეს თქვენი ლაპარაკი, მხოლოდ სიტყვებია და ჩვენ კი ისევ იმავე მდგომარეობაში დავრჩებით“-ო. თუ მივმართავთ ციფრებს და კრებებზე დამსწრეთა რაოდენობას, ამ პროვინციებშიაც „მშვენიერათ“ არის საქმე. ამავე დროს პარტიის წევრი თავს ვერ გრძნობს კარგათ.

ამხ. რუბენი თავის წერილებში ყურადღებით არ სტოვებს არც შინა პარტიულ დემოკრატიზმის საკითხს და სწერს: „მე ვგონებ, რომ ამ კითხვის გარშემოც ჩვენში ასე თუ ისე რიგიანად არის საქმე. ჩვენ არა გვაქვს ტფილისში არც ერთი შემთხვევა, — რაიკომების უჯრედების გაშვებისა. ზევიდან დანიშვნა ჩვენს ორგანიზაციაში ფრიად იშვიათი მოვლენაა“ და შემდეგ: „ხდება თუ არა პარტიულ მასაში გასარჩევად სერიოზული საკითხები? თუ ჩვენ ავიღებთ ასეთ კითხვებს, როგორიც მაგ; მენშევიკების გაბრწნა, სხვა პოლიტიკურ პარტიების კითხვა, საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები, ქალაქის და სოფლის კავშირი და სხვა — ყველა ეს კითხვები ირჩეოდა პარტიის წევრთა ფართო მასებში, ამ კითხვების გადაჭრაში ორგანიზაცია იღებდა აქტიურ მონაწილეობას“. ჩვენ ვეთანხმებით ამხ. რუბენს მხოლოდ იმაში, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები ისმებოდა დაბალ ორგანიზაციებში (თუმცა ამაზე უფრო საჭირბოროტო საკითხებიც იყო, მაგრამ უჯრედებში მათ შესახებ არაფერი არ იციან), მაგრამ კითხვების მხოლოდ დასმით არ წყდება შინაპარტიული დემოკრატიზმის საკითხი. საქმე იმაშია, თუ როგორია ინიციატივა, თვითმოქმედება გამოიჩინა პარტიულმა მასსამ ამ კითხვების გარჩევა-გადაწყვეტაში. გამოიტანა თუ არა რაიმე რეზოლუცია თავისი მხრივ და თუ გამოიტანა, როგორ ფორმებში ან რა სახით გამოსთქვა მან თავისი აზრი. თუ კითხვას ამ მხრით შევეხებით, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ არც ერთი საკითხის შესახებ პარტიულ მასას არ უმსჯელია, არ გამოუჩენია ინიციატივა და აქტივობა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ყველა საკითხები ფორმალურად (რომ შემდეგ ციფრებათ შეიტანოთ ქაღალდზე) ზევიდან უკვე გადაწყვეტილები — მივიდა უჯრედებში, რომლებმაც მოისმინეს მოხსენება, ასწიეს თითები და მიიღეს რეზოლუცია.

რაც შეეხება იმას, რომ ტფილისში არც ერთხელ არ გაგვიშვია არც ერთი ორგანიზაცია, ან არც ერთი ზევიდან დანიშნული მდივანი არ არისო — არც ესაა მართალი, თუ კითხვას არსებითად შევეხებით, რადგან ტფილისში ეს დანიშვნები სხვა ფორმებით ხდებოდა, ე. ი. დაბალი ორგანიზაციები ზევიდან ნაჩვენებ პირებს ზევიდან ნაჩვენები სიით თითს უწევდნენ ან და სიებით არჩევნები ხდებოდა.

რა საჭირო იყო ტფილისის ხელმძღვანელი ორგანიზაციისათვის მაინც და მაინც პირდაპირ დანიშვნა ზევიდან, როდესაც მან იცის, რომ პარტიული მასა მიჩვეულია, რომ სიებს ან ზევიდან ნაჩვენებ პირებს ხელი აუწიოს პარტიულ დისციპლინის ძალით. უკეთესი არაა ორი კურდღლის დაჭერა: სასურველი კანდიდატების გაყვანა და თან არჩევნების ინსცენიროვკა.

ერთი სიტყვით ვინც გულწრფელად და ღრმათ ჩაუკვირდება ჩვენ ორგანიზაციის მდგომარეობა[illegible] [illegible]ხავს, რომ „რიგიანად [illegible] საქმე“ ჩვენ ორგანიზაცი[illegible]

ამხ. ლომინაძე კი თავის წერილში გადმოგვცემს ამხ. ზინოვიევის წერილის შინაარსს თავისი სიტყვით იმ განსხვავებით, რომ მას რამოდენიმე ამონაწერები მოჰყავს მეათე ყრილობის რეზოლუციებიდან და ამ ყრილობაზე ამხ. ბუხარინის მიერ გაკეთებული მოხსენებიდან. ჩვენთვის საინტერესოა თვით ამხ. ლომინაძის შეხედულება ამხ. ზინოვიევის წერილში წამოყენებული საკითხებზე, მით უმეტეს, რომ ჩვენი შეხედულება სრულიადაც არ განსხვავდება პარტიულ ყრილობების დადგენილებებიდან.

ამხ. ლომინაძე თავის წერილში თითქო ეთანხმება თითქმის ყველა დებულებებს ზინოვიევის წერილში წამოყენებულს. მხოლოდ ვინც დაკვირვებით წაიკითხავს წერილს თავიდან ბოლომდის ის შეამჩნევს, რომ ამხ. ლომინაძე საქართველოს პირობებში წინააღმდეგია შინაპარტიული დემოკრატიზმის იმ სახით, გატარების, რა სახითაც ეს რუსეთში ტარდება, ან შეიძლება გატარდეს.

ამხ. ლომინაძეს მოყავს რა ამხ. ზინოვიევის წერილიდან ამონაწერი პარტიულ დემოკრატიის შესახებ დასძენს; ამხ. ზინოვიევის წინადადებები არ შეხვედრია და არ შეიძლება შეხვდეს ჩვენს პარტიაში, ვისგანაც არ უნდა იყოს ეს, არსებითად რაიმე წინააღმდეგობას“. პირიქით, ამ კითხვამ მეტი ყურადღება მიიქცია. მხოლოდ შემდეგ ამისა მას მოყავს ამხ. ბუხარინის მოხსენებიდან ამონაწერი, რომელშიაც ამხ. ბუხარინი გამოსთქვამს იმ აზრს, რომ „მუშათა დემოკრატიის ცხოვრებაში გატარება დამოკიდებულია ამა თუ იმ ორგანიზაციის სოციალურ კლასიურ შემადგენლობაზე“.

[illegible] რა საჭირო იყო ბუხარინის მოხსენებიდან ამონაწერის მოყვანა იმ [illegible] გვაქვს მეათე [illegible]ია ამ საკით[illegible] [illegible] ლომინაძეს [illegible]ორიტეტით [illegible]ს გაშუქება და გატარებაა საკუთარი ტენდენცია, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ აქ, საქართველოში მაინც და მაინც არაა საჭირო თავი შევიწუხოთ შინაპარტიული დემოკრატიის გასატარებლათ. ასეთი მისი ტენდენცია გამოსჭვივის ამხ. ლომინაძის წერილის შემდეგი ამონაწერიდან: „აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის, რომ პარტიის შემადგენლობა ერთფეროვანი არაა, მუშათა ორგანიზაციები იმდენად მომწიფებულია, „რომ შესაძლებელია სწორი პარტიული დემოკრატიის გატარება და სხვა“, და შემდეგ — „სხვა საქმეა, როდესაც სახეში გვაქვს ის ორგანიზაცია, სადაც არაპროლეტარული შემადგენლობა სჭარბობს. ასეთი ორგანიზაციაში შინაპარტიული დემოკრატიის გატარებას შეხვდება სერიოზული დაბრკოლებები“.

ცხადია, რომ მას სახეში აქვს საქართველოს ორგანიზაციები. მისი აზრით, აქ პარტიის შემადგენლობა არაპროლეტარულია და ამიტომ აქ სერიოზული დაბრკოლებები იქნება პარტიული დემოკრატიის გატარების საქმეში.

მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. ლომინაძე მომხრეა შინაპარტიულ დემოკრატიის საზოგადოთ — ის წინააღმდეგია მისი აქ გატარების. თუ სრულიად არაა წინააღმდეგი, მისი ტენდენციები და სიმპატიები მაინც აქეთკენაა.

რას ამბობს მეათე ყრილობა ამ კითხვის შესახებ, ამხ. ბუხარინის მოხსენების შემდეგ: „მუშათა შინა პარტიული დემოკრატიაში იგულისხმება ისეთი ორგანიზაციული ფორმა პარტიულ-კომუნისტურ პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც პარტიის ყველა წევრებს, თუგინდ ისინი (პარტიის წევრები) ფრიად ჩამორჩენილნი იყვნენ, აქტიური მონაწილეობას მიაღებინებს პარტიულ ცხოვრებაში, ყველა იმ კითხვების განხილვაში და გადაწყვეტაში, რომელიც მის (პარტიის) წინაშე დგანან. მუშათა დემოკრატიის ფორმა ვერ შეურიგდება ვერავითარ ზევიდან დანიშვნას, როგორც სისტემას და პოულობს თავის გამოხატულებას ყველა დაწესებულებების ფართე არჩევნებში ქვემოდან ზემოთ“ და სხვადასხვა.

ეხლა ვიკითხოთ — ეგუება თუ არა მეათე ყრილობის გადაწყვეტილება ამხ. ლომინაძის პოზიციას.

მეათე ყრილობამ კითხვა დიახაც რომ სწორად დააყენა — მან სთქვა: ჩვენ გვაქვს ერთი მთლიანი პარტია. ყველა პარტიის წევრს უნდა ჰქონდეს თანასწორი უფლებები არ შეიძლება, რომ პარტიის წევრებს, თუ ისინი სრულუფლებიანნი არიან ერთ ადგილას მეტი უფლება მიეცეს, მეორე ადგილას ნაკლები, თუ გინდ ესენი „ჩამორჩენილები“ იყვნენ. არ შეიძლება, რომ ტფილისში პირველ რაიონში (მუშათა უბანი) მეტი უფლება მიენიჭოს ფაქტიურად პარტიაში, მხოლოდ მეოთხე რაიონში ან მეორეში — ეს უფლება არ ექნეთ. არ შეიძლება, რომ რუსეთის პარტიის წევრს მუშას მეტი პარტიული უფლებები ჰქონდეს პარტიულ ცხოვრებაში კითხვების განხილვის დროს, ვიდრე სხვა რომელიმე კუთხის პარტიის წევრს. რადგან ასეთი გაყოფა პარტიის წევრებისა ეწინააღმდეგება ყველა ჩვენი ყრილობის გადაწყვეტილებას და ცხოვრებაშიაც ძნელია მისი გატარება. სულ სხვა კითხვაა, როდესაც რომელიმე ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობა ჩამორჩენილია ცენტრალურ პროლეტარულ ორგანიზაციებზე, ყურს უგდებს წმინდა პროლეტარულ ორგანიზაციას, ითვისებს მის სულისკვეთებას და კითხვების განხილვისა და გადაჭრის დროს ხელმძღვანელობს წმინდა პროლეტარულ ორგანიზაციის შეხედულებებით, გამოცდილებით, კლასიური ინსტიქტით და სხვ. მხოლოდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, მაგალითად, ტფილისის ორგანიზაციას უფლება არ ჰქონდეს კითხვების განხილვისა და გადაჭრის სწორედ იმავე ფარგლებში, როგორც, მაგალითად, მოსკოვის ორგანიზაციას აქვს, ან, მაგალითად, არ შეიძლება, რომ ტფილისის ორგანიზაციას მეტი საშუალება და თავისუფლება ჰქონდეს კითხვების განხილვა-გადაჭრაში, ვიდრე, მაგალითად, ქუთაისის ორგანიზაციას. უფლება პარტიის [illegible] ნაირ უნდა ჰქონდეს [illegible] უნდა იყოს და [illegible] სხვადასხვა. [illegible]ლოდ ჩამორჩენილი ორგანიზაციები მუდამ [illegible] ადიდებენ [illegible] თუ [illegible] უყურებენ [illegible] ასე თუ ისე მასზე ყოველ მხრივ ძლიერი ორგანიზაციები.

თუ პარტია რწმუნდება იმაში, რომ რომელიმე მისი ორგანიზაცია კითხვებს არაპროლეტარულად სჭრის, რომ რომელიმე ორგანიზაციაში ძლიერ სჭარბობს არაპროლეტარული ელემენტები [illegible] ლი იდეოლოგია [illegible] რომელიმე ორგანიზაცია [illegible] ბაში არ მიიღებს და [illegible] ბა წმინდა პროლეტარულ ორგანიზაციებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ორგანიზაცია არ არის კომუნისტური და დაშლილ უნდა იქნეს. პირიქით, თანასწორი თვითმოქმედების მინიჭებაა საჭირო სწორედ იმ პარტიის წევრებისათვის, რომლებიც „ჩამორჩენილებია“. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პარტია, საერთოდ როგორც მთელი, სავსებით მისდევს რომელიმე ორგანიზაციას ხელმძღვანელის როლი გადაეცეს დაბალ და ჩამორჩენილ ორგანიზაციას. როგორც სჩანს ამხ. ლომინაძე და რუბენი იჩენენ ერთგვარ ტენდენციას საკითხის ასე თუ ისე მოგვარებაში. აშკარაა ის, რომ აქაური ხელმძღვანელი ორგანიზაცია ცდილობს საქართველოს პარტიას ამ მხრივ შეზღუდვას, რადგან მათი აზრით უკანასკნელში არაპროლეტარული ელემენტები სჭარბობენ. ორიოდე სიტყვა ამხ. ლომინაძე და რუბენს ჩემი წერილის გამო. ორივე ამხანაგები ყალბათ აშუქებენ ჩემს პოზიციას. ამხ. ლომინაძე ამბობს, რომ კ. ცინცაძის პოზიცია მენშევიკურ-ესერულიაო. რას ვამბობ მე: „პარტიული დემოკრატიის (და არა საერთოდ დემოკრატიის) საკითხზე

ბრძოლა ბიუროკრატ-კომუნისტების წინააღმდეგ საკონტროლო კომისიის და უმაღლეს ორგანოების საშუალებით.

5) უჯრედების მიერ რაიკომის წინაშე აღძრულ საკითხებზე რაიკომმა უნდა გააცნოს შედეგები უჯრედს.

6) უჯრედი ფიქრობს, რომ პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგების ჩამოცილება ფართო პარტიულ მასებისაგან ხდება სხვა მიზეზებს გარდა კიდევ მით, რომ პარტიის უბრალო წევრების და პასუხისმგებელ ამხანაგების მატერიალურ მდგომარეობათა შორის დიდი განსხვავებაა და პარტიულმა ორგანოებმა აუცილებლად უნდა მოაგვარონ ეს საკითხი.

რეზოლუცია პარტიის ახალი ამოცანების შესახებ, მიღებული ამიერ-კავკასიის სახაზღვრო კომისიის ჯარების 80 4 ავტო-ჯავშნოსან დივიზიონის კოლექტივის საერთო კრების მიერ.

შეერთდება რა სავსებით რუსეთის კომპარტიის ცეკას პოლიტბიუროს პლენუმის, ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რეზოლუციას, კრება აღიარებს:

1) ნამდვილ შინაპარტიულ მუშათა დემოკრატიის საფუძვლად უნდა დაედოს აქტიური პარტიული მუშაობა პარტიის ყველა წევრების და კანდიდატების მიერ არა მარტო დისკუსიებში და პარტიულ ორგანიზაციის თანამდებობის პირთა არჩევნებში მონაწილეობის, არამედ უმთავრესად ყოველდღიურ პარტიულ მუშაობაში ჩაბმის გზით დაწყებული ხელმძღვანელობითი მუშაობიდან და გათავებული ტექნიკურით.

განხორციელება პარტიული შესწავლის ძირითადი მოთხოვნილებების— არ არის პარტიაში უფრო პარტიულ მოვალეობათა გარეშე—არამედ ამავე დროის განხორციელება ჭეშმარიტ შინაპარტიულ მუშათა დემოკრატიზმის.

2) უმაღლესმა ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა ინიციატივის თავისუფლება უნდა მისცენ ქვედა უჯრედებს და ამავე დროს არ უნდა შეასუსტონ საერთო ხელმძღვანელობა უკანასკნელებზე აქტიურ პარტიულ მუშაობაში ყველა წევრების და კანდიდატების ჩაბმის საქმეში.

3) აღიარებს რა, რომ ყოფილი არსებული თავისუფლება ინიციატივის ქვედა ფენების უჯრედების ვერ იყო სავსებით გამოყენებული, კრება აღნიშნავს, რომ მუშათა დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებაში გატარება სავსებით დამოკიდებულია ქვედა უჯრედების აქტივობაზე.

4) პარტიის წევრების და კანდიდატების აქტივობის გაძლიერების საქმეში უჯრედებმა მუდამ უნდა გაითვალისწინონ პარტიული სამუშავო უჯრედის თვითეული წევრისათვის, მისი ძალის და უნარის მიხედვით, არ უნდა დატოვონ უყურადღებოთ არც ერთი ამხანაგი და დააკისრონ თვითეულს თუნდაც პატარა დავალება. [illegible] ის გრძნობენ უჯრედის თვითეულ წევრს, რომ ის [illegible] მოწყვეტილი და ჩამოშორებული ორგანიზაციიდან, რომ მას ხშირად აქვს ადგილი ჩვენს უჯრედებში.

5) უჯრედის წევრების აქტიურ მუშაობაში ჩაბმისას—საჭიროა მუდამ მათი უნარის შესწავლა, საჭიროა თანდათანობით უფრო რთულ დავალებების დაკისრებით ვაგრძნობინოთ ყოველ ამხანაგს, რომ ორგანიზაცია დაინტერესებულია მისით. ყოვლად დაუშვებელია უფრო განვითარებულ ამხანაგების მიერ სასტიკი კრიტიკით მიდგომა უფრო ნაკლებად განვითარებულ ამხანაგების შეცდომებისადმი.

6) უჯრედის ყველა წევრების კრებებზე დასმულ საკითხების განხილვაში ჩაბმის მიზნით, საჭიროა შესწავლა და შერჩევა უჯრედების წევრებისათვის უფრო საინტერესო საკითხების და მათი განხილვა კრებებზე. მომხსენებლებმა უნდა ანგარიში გაუწიონ კრებაზე დამსწრეთა განვითარების დონეს და მოხსენება გააკეთონ მათთვის გამოსადეგ ფორმებში. არ არის საჭირო მომხსენებლებათ მხოლოდ უფრო განვითარებულ ამხანაგების არჩევა, მოხსენებისათვის გამოყენებულ უნდა იქნენ აგრეთვე საშუალის განვითარების მქონე წევრებიც.

7) ქვედა უჯრედებმა მაქსიმუმი ყურადღება უნდა მიაპყრონ თვითეულ მათ წევრს და გაუწიონ მას მორალური და საჭირო შემთხვევაში მატერიალური კოლექტიური დახმარება.

8) პარტიულ უჯრედების უპარტიოებთან დაახლოვების და უკანასკნელებზე პარტიის გავლენის გაძლიერების დარგში—საჭიროა ყველა მორიგი პარტიული კრებების ღიათ ჩატარება, ხოლო დახურული კრებები უნდა ჩატარებულ იქნენ რიგ გარეშე. საჭიროა პარტიულ კრებებზე უპარტიო დამსწრეების კრების მონაწილეებათ ჩათვლა სათათბირო ხმის უფლებით; საჭიროა მათი აზრებისათვის ყურადღების მიქცევა, იმათგან უფრო აქტიურების, ჩვენთან უფრო ახლო მდგომთა გამორჩევა მათი შემდეგი ინდივიდუალური გამორკვევის მიზნით.

საქართველო.

ახალციხე.

ახალციხე. 1 იანვარი. წყალის მუშათა კავშირის კომუჯრედის კრებამ [illegible] რეზოლუცია რ. [illegible] ც. კ. რეზოლუციის მისალმების შესახებ. დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული პარტიის შიგნით ფრაქციების და ჯგუფების შექმნის დაუშვებლობა.

სომხეთი

ერევანი. 1 იანვარი. სომხეთის კომუნისტური პარტიის ერევნის ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკების, პროფკავშირების და კომუჯრედების ბიუროების საერთო კრებამ, მოისმინა რა ამხ. ლუკაშინის მოხსენება შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

1. [illegible] ნდობა გამოეცხადოს [illegible] კომიტეტს. მისალმება— [illegible] ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლუციის [illegible] მშენებლობის შესახებ, რომელიც დროულია და [illegible] გზას იძლევა პარტიის [illegible] პარტიული მასების თვითმოქმედების გაძლიერებისათვის.

2. დაუშვებლათ თვლის ფრაქციების და ჯგუფების შექმნას პარტიის შიგნით და ძველი და ახალი გვარდიის დაპირისპირებას. კრება მთლიანობისაკენ მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს.

3. კრება საჭიროდ თვლის შინაპარტიული დემოკრატიის სასწრაფოდ გატარებას ცხოვრებაში რ. კ. პ. ც. კ. რეზოლუციის ნიადაგზე და დროულად აღიარებს თეზისების გამომუშავებას, რომლებიც კონკრეტიულ გზებს უჩვენებენ სომხეთის ფარგლებში პარტმშენებლობის შესახებ რეზოლუციის გასატარებლად.

წითელი ტელეგრაფი

რუსეთი.

ამხ. ოსინსკის ჩამოსვლა

მოსკოვი. 31 დეკ. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შვეციაში ამხ. ოსინსკი.

პროვოკატორის დახვრეტა.

ვიტებსკი. 31 დეკ. საგუბერნიო სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა პროვოკატორ სოკოლინსკის, რომელიც პოლოცკის „ოხრანკაში“ მსახურობდა.

რევოლუციონური ნათლა

ვიატკა. 31 დეკ. შობის მეორე დღის შრომის სასახლეში მოხდა უპარტიო მუშების 4 ახლათ დაბადებულ ბავშვების მონათვლა, რომელთაც დაარქვეს: კლარა, როზა, ლევი და სპარტაკი. ქიმიკოსების, საბჭოთა მოსამსახურეების და მედუქურ-სასანიტარო მუშაკთა კავშირებმა მიიღეს შეფობა ახლად დაბადებულებზე.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტების მიცემა.

მოსკოვი. 31 დეკ. მეურნეობისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების კოლეგიამ დაადგინა კრედიტები მუშა საქონლის შესასყიდავად გაგზავნოს ადგილებზე მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კრედიტების საზოგადოებებში. სესხი უნდა იყოს გრძელვადიანი და უშუალოდ უნდა მიეცეს დაინტერესებულ მოსახლეობას კოოპერატივებისა, ურთიერთ დამხმარე საადგილ-მამულო საზოგადოებათა და თვით გლეხების სპეციალურ გაერთიანებათა საშუალებით.

თურქული „კომუნისტი“-ს მე-1000-ე ნომერი

მისალმებანი.

ბაქო. 1 იანვარი. თურქული „კომუნისტი“-ს რედაქციამ მეათასე ნომერის გამოშვების გამო სხვა მისალმებათა შორის შემდეგი მისალმებები მიიღო:

კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტისაგან: „ბაქო პროლეტარული ნახევარ კუნძულია, რომელიც ღრმათ იჭრება აღმოსავლეთის მრავალმილიონიან გლეხობაში. მსოფლიო იმპერიალიზმის ამ მრავალმილიონიან მასებისათვის ბაქო წარმოადგენს მონობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის განსახიერებას. ამაშია პროლეტარული ბაქოს უდიდესი ძალა, მაგრამ ამავე დროს უდიდესი პასუხისმგებლობაც. თუ საბჭოთა კავშირის მთელი პროლეტარიატისათვის მიმდინარე ეპოქაში მთავარ ამოცანას შეადგენს გლეხობის თანამშრომლობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით პასუხსაგებია ეს ამოცანა ბაქოს პროლეტარიატისათვის. ამ თვალთახედვის ისრით უნდა შეაფასოს ბაქოს პროლეტარიატმა თვითეული თავისი ნაბიჯი და მოქმედება, პირველ რიგში ასეთი მიდგომით უნდა განისაზღვრებოდეს პრესის—მასების ორგანიზაციის უძლიერესი იარაღის შინაარსი და მიმართულება. გაზეთი კომუნისტი ზეიმობს მეათასე ნომერის გამოშვებას. ბრძოლის განვლილი წლების პერიოდში „კომუნისტმა“ დაიპყრო თავისთვის ათასი პროლეტარები, რომლებიც თურქულ ენაზე ლაპარაკობენ. ეს პროლეტარები, რომლებიც შთამომავლობით დაკავშირებული არიან აზერბაიჯანის, სპარსეთის და ოსმალეთის სოფელთან, განსაკუთრებით ღრმად უნდა გრძნობდნენ, რომ საბჭოთა რესპუბლიკების განთავისუფლებული პროლეტარიატის და აღმოსავლეთის დამონებული გლეხობის ინტერესები ერთია. ამ შეგნების გაღრმავება და განმტკიცება—„კომუნისტი“-ს მთავარი ამოცანა არის. ამ გზაზე, ჩვენ დარწმუნებული ვართ, თქვენ მოგელისთ არა მარტო მძიმე მუშაობა და ბრძოლა, არამედ იუბილეების ბედნიერი წუთები, როცა თქვენ კმაყოფილი გადაავლებთ თვალს განვლილ გზას“.

ამხ. ტროცკისაგან: „ვსარგებლობ თქვენი იუბილეით, რომ ძმური სალამი მოგიძღვნათ. ვწუხვარ, რომ არ ვიცი თურქული ენა ისე, როგორც აღმოსავლეთის სხვა ენები. დადგა ხანა, როცა აღმოსავლეთის მშრომელი მასები უდიდეს როლს ითამაშებენ. ვუსურვებ თქვენ გაზეთს მომავალშიც აღვიძოს დაჩაგრულები და თავი მოუყაროს მათ კომუნისტური დროშის გარშემო. თქვენი ტროცკი“.

გაზ. „ჰუმანიტე“-ს რედაქციისაგან: „ძვირფასო ამხანაგებო! მეოცე წელიწადში შეაბიჯა „ჰუმანიტემ“, საფრანგეთის პროლეტარიატის ორგანომ, რომელიც შექმნა უდიდესმა ტრიბუნმა ჟორესმა. ჩვენი ორგანო ძველია სოციალისტურ მოძრაობაში, მაგრამ ის ახალგაზრდაა მეცნიერული სოციალიზმის—კომუნიზმის დოქტრინაში. როგორც მას ბრძოლაში „ჰუმანიტე“ ესალმება ბაქოს „კომუნისტს“ მეათასე ნომერის გამოსვლის გამო. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის კომუნისტურ პრესას“.

ამხ. ხალილის [illegible]: „გულწრფელათ ვესალმები „კომუნისტს“ მეათასე ნომერის გამოშვების გამო. ვუსურვებ მას მომავალშიც გაკვალოს გზა აღმოსავლეთის მშრომელი მასებისათვის კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ“.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(3 იანვარი).

ჩერვონცები — — —	465,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	451,000
ჩეკები	— 443,000
დოლარები ეფექტ.	— 105,000
ჩეკები	—100.000
ოსმ. ქაღ. ლირა	66.000
იტალიური ლირა	3600
ფრანგული ფრანკი	5100
საბჭ. ფულის ნიშნები	15

მოსკოვის ფასები.

(2 იანვარი)

პური 1 ხარ.—2250 ათ., პური 2 ხარ—1750. ძროხის ხორცი—9000 ათ. შაქარი რაფინადი—23,320 ათ., ფხვნილი შაქარი—14,520 ათასი ვერმიშელი—6600 ათ. ბრინჯი აღდ. 3—520. ათ. კარტოფილი—800 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(2 იანვარი).

პური 1 ხარ.—3000 ათასი, პური 2 ხარ.—2000 ათასი, ძროხის ხორცი 10000 ათ. ცხვრის ხორცი 11000 ათ. შაქარი რაფინ.— 24 მ., შაქარი ფხვნილი 15,000 ათ. ვერმიშელი—7000 ბრინჯი აღდ.—4000 ათ., კარტოფილი 1000 ათ.

ბირჟის მიმოხილვა.

„ურალმეტ“-ის პროდუქცია; ხორბალი და სხვა პურეული, სინგაპურის პილპილი; კაკაო, ზეთი და მარცვლოვანი, პარაფინი; კვებრახის ექსტრაქტი, მავთული (რბილი); პურის სპირტი; შვეიცარიული ყველი; „კოქსინდიკატ“-ის პროდუქცია; ბორჯომის ქარხნის პროდუქცია; რუს. შაქარი 2 ხარ; ლაგოდეხის თამბაქო; ცენტროსოიუზის ჩაი; რუს. მანუფაქტურა; ქიმიური ნაწარმობი; ფანჯრის მინა, ადგილობრივი ხორბალი; კაუსტიური სოდა; რუს. ასანთი; სალომასი; მზესუმზირას ზეთი; ცემენტი და ეტერნიტი; ს. მ. უ. ს. საპნისა და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი, და სხვ.) საბზა, აგური (ცეცხლ-მაგარი); მატყლი.

ოფიციალური გარიგებანი.

ინდოეთის ჩაი „აბრიზისი“—155 მ. ფუთში გადახდილ აქციზით.

ქვა-მარილი ნახიჩევანის—65 კაპ. ფუთში გადახდილ აქციზით, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ქვა-მარილი ნახიჩ.—61 კაპ. ფუთში გადახდილ აქციზით, ფრანკო სად. ტფილისი.

თავი შაქარი—16 მ. 50 კ. ფუთში ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(3 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	465.000,	60 კ.—	27.900.000
2 „—	930.000,	70 „—	32.550.000
3 „—	1.395.000,	80 „—	37.200.000
4 „—	1.860.000,	90 „—	41.850.000
5 „—	2.325.000,	1 მ.—	46.500.000
6 „—	2.790.000,	2 „—	93.000.000
7 „—	3.255.000,	3 „—	139.500.000
8 „—	3.720.000,	4 „—	186 000.000
9 „—	4.185.000,	5 „—	232.500.000
10 „—	4.650.000,	6 „—	279.000.000
20 „—	9.300.000,	7 „—	325.500.000
30 „—	13.950.000,	8 „—	372.000.000
40 „—	18.600.000,	9 „—	418.500.000
50 „—	23.250.000,	1 ჩერ.	465.000.000

ა. კ. სავაჭრო სამმართველოს მოქმედება 1923 წელში.

ა. კ. სავაჭრო სამმართველოს მოქმედება განიყოფება ორ პერიოდათ: პირველი—წარსული წლის აგვისტო-დეკემბრამდე და მეორე—ამა წლის იანვარ-სექტემბრამდე. პირველი პერიოდი უნდა ჩაითვალოს საორგანიზაციო პერიოდად, როდესაც ხდებოდა გამოცდილ მუშაკთა შერჩევა და სავაჭრო აპარატის შექმნა და სხ. გარდა ამისა პირველ პერიოდში სამმართველო აწარმოებდა მთელ რიგ საექსპორტო საქონლის დამზადებას, შეისყიდა და შემოიტანა საზღვარ-გარეთიდან სხვადასხვა საქონელი (მაგ. ავტომობილები) და შეჰკრა რამდენიმე ხელშეკრულება ცალკე ფირმებთან და ორგანიზაციებთან—შაქრის, კეროსინის, აბრეშუმის პარკის და სხვ. ოპერაციებზე.

მეორე პერიოდი (ა. წ. იანვარ-სექტემბერი) დახასიათდება გეგმაშეწონილ მოქმედებაზე გადასვლით. ამ პერიოდში თანხის ბრუნვა უფრო სწრაფ ტემპს ღებულობს, საბრუნავი თანხა იზრდება. სამმართველომ დაიწყო და ცხოვრებაში გაატარა თავისი საიმპორტ-ექსპორტო გეგმა, რომელიც მიღებული იყო წარსული წლის დეკემბერში სამმართველოს პასუხისმგებელ თანამშრომელთა თათბირზე.

მეორე პერიოდში ვითარდება ეკონომიური კავშირი რუსეთის ბაზრებთან. ასეთი სამნიშვნელო საექსპორტო საგნები, როგორიცაა ბამბა, მატყლი, თამბაქო და სხვ. უკვე იგზავნება რუს. ბაზრებზე და პირიქით, ისეთი საიმპორტო საქონელი, როგორც შაქარი და მანუფაქტურაა, იზიდება რუსეთიდან.

სავაჭ. სამმართველოს ოპერაციები 1923 წელს (9 თვეს) გამოიხატება შემდეგი ციფრებით: დამზადებულია ნედლეული სულ 3 556 ათ. ჩერ. მან. თანხისა, გაყიდულია ნედლეული—1.641 ათასი მან. თანხისა, აქედან ადგილობრივი ნედლეული 1.882 ათ. ჩ. მან. და სპარსეთის—92 ათ. მან. იმავე დროს ნაყიდია საქონელი 1.601 ათ. ჩ. მან. თანხისა; ამ რიცხვში—რუსეთის 500 ათ. მან. და საზღვარ-გარეთის—1.101 ათ. მან. გაყიდულია საქონელი სულ 1.804 ათ. მან. მათ შორის რუსეთის—640 ათ. მ., და საზღვარ-გარეთის—1.164 ათ. მან. გარდა ოპერაციებისა, რომლებსაც სამმართველო აწარმოებდა თავისი ხარჯით, იგი აწარმოებდა საკომისიო ოპერაციებს—როგორც საიმპორტო, ისე საექსპორტოს.

იმპორტის ოპერაციებში პირველი ადგილი უჭირავს რუს. შაქარს, რომელიც საღდებოდა ამიერ-კავკასიაში და ჩრდ.-დასავლეთ სპარსეთში „სახაროტრესტ“-თან ხელშეკრულების თანახმად. ამასთან პარალელურად სამმართველო აწარმოებდა გასატან ოპერაციებს, მაგ. გატანილია ძირტკბილა, კეროსინი, ხიზილალა, აბრეშუმის პარკი, ხალიჩები და სხვ. სპარსეთში გაზიდულია 53.644 ფუთი ნავთის ნაწარმობი; ინგლის-კავკასიის საზოგადოებამ იყიდა 9.000 ტონა ძირტკბილა; 2000 ფუთი აბრეშუმის პარკი გაყიდულია საზღვარ-გარეთ და სხვ.

უნდა აღინიშნოს სავაჭრო სამმართველოს მონაწილეობა ბაქოსი და ნიჟეგოროდის ბაზრობებზე, სადაც გაგზავნილი იყო მრავალი ნედლი საქონელი, როგორც ადგილობრივი, ისე სპარსეთის (საბზა, ნუში და სხვ.). ნედლეულის დამზადებას სამმართველო აწარმოებდა უმეტესად თავისი ადგილობრივი აპარატების (70 პროც.), ხოლო ნაწილობრივ—კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით (24,4 პროც.). საქონლის რეალიზაციაში სამმართველოს მჭიდრო კავშირი ეჭირა კოოპერაციასთან და სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებთან. ამ განმავლობაში სამმართველოს განკარგულებაში ეყოფებოდა [illegible] ფილებები—ბაქოში, ბათომში, [illegible]ჯაში, ერევანში და სოხუმში; [illegible] ტორიები—მოსკოვში, [illegible] ლავში, ნუხაში და სხვ. [illegible] განყოფილებებს მინიჭებული ჰქონდა [illegible] უფლება საკუთარ ოპერაციების წარმოების, ცენტრის გეგმის მიხედვით. რაც შეეხება სამმართველოს წარმომადგენლობებს საზღვარ-გარეთ, მათ თავის სავაჭრო აპარატები არა ჰქონდათ და იძულებული იყვნენ თავის ოპერაციები ეწარმოებინათ [illegible] კომ“-ის და რუს. სავაჭრო წარმომადგენლების საშუალებით.

მენშევიკური ჯალათების მსხვერპლი

ამხ. ილ. გიორგაძე.

ჯალათებმა მოგვიკლეს ი. გიორგაძე

შავი ყორნები თავს დაგვჩხავიან. მენშევიკების სისხლიანი ხელები ერთხელ კიდევ გაისვარა ეხლა უკვე მათი ყოფილი ამხანაგის ილ. გიორგაძის სისხლში. ამით მათ აშკარათ დაამტკიცეს მთლად თავისი სიკოტრე და უძლურება. იდეოლოგიურ ფრონტზე სასტიკათ დამარცხებულმა ავანტიურისტებმა ტერორი შემოიღეს, ტერორით სურთ შეაჩერონ მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია, მაგრამ რათ ავიწყდებათ ამ უგუნურებს, რაც თვითონ გვასწავლეს, რომ ტერორს არაფერი სარგებლობა არ მოაქვსო. მაშ რათ მიჰყვეს ამ იარაღს? აშკარაა მათ ჭკუა და გონება სრულიათ დაჰკარგეს, გადაიქცენ ფაშისტებათ. რათ მოჰკლეს მათ ილ. გიორგაძე? აი რათ: გიორგაძე იყო ერთი ძველი მებრძოლი მუშა, მენშევიკების ბატონობის დროს მუშათა დიდი ორგანიზაციების წევრი, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით ტფილისის მუშებში და რკინის გზელებში; მან შექმნა არალეგალური ბიურო პროფკავშირებში. მან მოაწყო ტფილისის არალეგალური კონფერენცია, 39 აგვისტოს პარტიის დაშლის შემდეგ, სადაც თვითონ თავმჯდომარეობდა. მას სიკვდილის სრულებითაც არ ეშინოდა, ის ეწეოდა დაუღალავ შრომას არალეგალურათ; მაგრამ როცა ის დარწმუნდა რომ ის იბრძვის არა მუშების საქმისთვის, არამედ ევროპის ბურჟუა-კაპიტალისტების ლაქია ხომერიკების საქმისთვის, და როცა მან შეხედა, რომ მენშევიკების ახალ პარტიას ამშვენებენ მხოლოდ ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები, ყოფ. თავადები და მეფის ოფიცრები, მღვდლები და ბერები, მაშინ მან გადასწყვიტა წასულიყო იმ გზით, საითაც წავიდა 12 ათასი ყოფილი მენშევიკი გამოფხიზლებული მუშა. ამ ამბავმა თავზარი დასცა არალეგალურ ცეკას, მას შეეშინდა იმის, რომ გიორგაძეს არ [illegible] მათი შავი საქმენი და მოკლეს იგი. შავმა ყორნებმა წაგვართვეს ერთი, მუშათა საქმისათვის თავდადებული მებრძოლი 1904 წლიდან, მაგრამ ჩვენ არ გვაშინებს [illegible] როცა მესამე ინტერნაციონალის [illegible]ზე შევდექით, მაშინ ვიცოდით, [illegible] ასე გაგვიმასპინძლდებოდნენ [illegible]ზიური ფაშისტები. ჩვენს რაზმს ერთი ამხანაგის მოკვლით ვერ [illegible]ლიან ქარ. ფაშისტ მენშევიკები.

30 დეკემბრიდან მენშევიკებმა იწყეს ფაშისტური მეთოდებით [illegible]ლა. ჩვენც მათ გაუმასპინძლდებით ისე, როგორც ეკადრებათ ამ ბანდიტებს.

კ. თოდუა.

კოოპერაცია

ცეკავშირის ყრილობა

ცვლილებების შეტანა ცეკავშირის წესდებაში.

27 დეკემბრის დილის სხდომაზე ცეკავშირის წესდების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. კანდელაკი.

დღეს, როდესაც მოისპო სარაიონო კავშირები და ცეკავშირი უშუალოდ დაუკავშირდა ძირითად კოოპერატივებს ჩვენი კოოპერაციის ორსაფეხურიან მშენებლობის მიხედვით ცეკავშირის წესდებაში შეტანილ უნდა იქნას ცვლილებანი. ამასთანავე საჭიროა ზოგიერთა ცვლილებანის შეტანა რწმუნებულთა საბჭოს, კრების ფუნქციის განსაზღვრაში, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მეტი ყურადღება ეთმობოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. მომხსენებელი აყენებს წინადადებებს ზოგიერთ სხვა მუხლებშიც იქნას შეტანილი ცვლილებები. წესდების 30 მუხლის ახალი რედაქციის თანახმად 25000 წევრი კოოპერაციისა ირჩევს 6 რწმუნებულს. მოკავშირეთა ბიუროს მაგივრად იქნება საბჭო, რომლისთვისაც შემუშავებულია დაწვრილებითი დებულებები და ინსტრუქცია.

კანდელაკის მოხსენების შემდეგ ყრილობას ესალმება ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც აღნიშნავს განსხვავებას ძველ და ახალ კოოპერაციის შორის, კოოპერაციის როლს „მაკრატლი“-ს საკითხის გადაჭრაში და უსურვებს ახალ კოოპერაციას საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად გამარჯვებას. საორგანიზაციო საკითხების შესახებ წინადადებები შემოაქვს ი. გაბილაიას და ვრცლად ასაბუთებს თავის მოსაზრებებს. ს. მაჭავარიანის სიტყვის შემდეგ ყრილობა ღებულობს ახალ წესდების პროექტს.

აბრეშუმის პარკის მონოპოლია.

27 დეკემბრის საღამოს სხდომაზე ყრილობა ისმენს მოხსენებას აბრეშუმის პარკის მონოპოლიის შესახებ. ამხ. მ. ტოროშელიძის შესავალი სიტყვის შემდეგ ვრცელ მოხსენებას ამ საკითხის შესახებ აკეთებს ამხ. გ. მგალობლიშვილი.

პარკის მონოპოლია ჩვენში არსებობს 1920 წლიდან; 21 წელში 85.000 ფ. მოსავლიდან კოოპერაციამ შეკრიბა 12000 ფუთი პარკი, 22 წ. 50.000 ფუთიდან—22000 ფუთი, 23 წ. 70,000 ფუთიდან 69000 ფუთი, აქედან ხმელი პარკი დარჩა 19000 ფუთზე ცოტა მეტი. 5000 ფ. ცეკავშირმა მიყიდა ზაკგოსტორგს 12 ჩერვონეცათ ფუთი, ცენტროსოიუზს 12,500 ფ. იმ პირობით, რომ ცეკავშირი ჩაბარებისთანავე ღებულობს ცენტროსოიუზიდან ფუთზე 11 ჩერვონეცს და შემდეგ მოგებაში წილი უდევს 60 პროც. საერთოდ [illegible]ლი პარკის ღირებულება უნდა ვიანგარიშოთ 2.086.000 ჩერვ. მან. ხარჯები უდრის 296,700 ჩერვ. [illegible]ნეთს, ამაში შედის პროცენტი, ანგარიშები ეპოებისთვის, ცეკავშირისთვის და მიწათმოქმედების [illegible]სარიატისთვის. გლეხები მიიღებენ სულ 1,287,000 ჩერვ. მან., აქედან 315000 მანეთის აბრეშუმის თესლით, 871000 მან. მანუფაქტურით და 100.000 მ. ფულათ. ფუთ ხმელ პარკში გლეხები მიიღებენ 82 მ. 30 კაპ. ჩერვონეცით.

ნარმაზე რომ ვიანგარიშოთ 22 წელში მწარმოებელმა მიიღო ფუთ პარკში 40 არშინი, 23 წელში 60 არშინი, ე. ი. 50 პროც. მეტი წინა წელთან შედარებით. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენი პარკი ხელ[illegible]რელ ფასებში გაიყიდა მსოფლიო ბაზარზე.

ამნაირად მომხსენებლის აზრით მონოპოლიას არა თუ არ დაუცემია მეაბრეშუმეობა ჩვენში, პირიქით კოოპერაციის ხელმძღვანელობით თანდათან აღორძინების გზაზე დგება.

მომხსენებლის შემდეგ გამოდიან რწმუნებულები, რომლებიც აღნიშნავენ დეფექტებს პარკის ოპერაციებში ადგილებზე. მოყავთ ფაქტები, რომ მწარმოებლებს ყველგან და ყველ დროს ერთნაირად არ უსწორდებიან ანგარიშს, რაც უკმაყოფილებას იწვევდა გლეხობაში. მოითხოვენ ამ ნაკლთა გამოსწორებას.

მომხსენებელი ამხ. მგალობლიშვილი უპასუხებს შეკითხვებს და აცნობებს ყრილობას, რომ თესლის შესაძენად უკვე გაემგზავრა საზღვარ გარეთ მეაბრეშუმეობის ინსპექტორი ქუთათელაძე, რომელსაც [illegible] უყიდის ოცი ათასი [illegible] ევროპული თესლისა.

არჩევნები.

28 დეკემბრის დილის სხ[illegible], რომელზედაც თავმჯდომარეობ[illegible] კ. ციხცაძე, მოხდა არჩევნებ[illegible] ობის, სარევიზიო კომისიის და საბჭოსი.

კომფრაქციის მიერ წამოყენებ[illegible] სიით ცეკავშირის გამგეობაში [illegible] იქნენ შემდეგი ამხანაგები: [illegible] როშელიძე, გ. მგალობლიშვილი, [illegible] ქაცარავა, გ. ცაგარელი, [illegible] მაიშვილი, ალ. ერისთავი, [illegible] ლელი, გ. ნაფეტვარიძე [illegible] ვი. კანდიდატებად: ალ. [illegible] ნაცვლიშვილი და მოკოვი [illegible]

სარევიზიო კომისიაში: [illegible] პრეობრაჟენსკი და კორ[illegible] დატებათ: ამოზჯანიძე [illegible] ზიშვილი.

[illegible] უფრო მწვავედ სდგას საქართველოში [illegible] სხვა კუთხეში [illegible] ვინაიდან განაპირა [illegible] მეფის მთავ[illegible] მძაფრს და მხეცურ პოლიტიკას აწარმოებდა“.

„მკაცრი და განსაკუთრებული ჩაგვრა [illegible] იწვევდა მშრომელთა მხრივ (აგურულის მუშები და გლეხები და არა მარტო გლეხები, როგორც ამხ. ლომინაძეს ჰგონია) იწვევდა მეტ წინააღმდეგობას და სიძულვილს. როცა [illegible] მშრომელთა მასას [illegible] კიდევ მუშები და გლეხები) საშუალება მიეცემოდა“ და [illegible] ამოიწურა რის [illegible] და განხორციელებაც შე[illegible]: „კომუნისტური პარ[illegible] ასეთ პოლიტიკურად [illegible] მომწიფებული შრომელ[illegible] (მუშებიდან და გლე[illegible] გამოსული და ცხა[illegible] ამ გარემოებას ერთგვარი [illegible] აქვს ჩვენი პარტიის წევრების [illegible]ქოლოგიაზე.“ (რომ ვინმე შე[illegible] არ შევიდეს, ორიოდე სიტ[illegible] განვმარტო სიტყვა [illegible]“. ამ სიტყვას მე ვხმა[illegible] მუშებისა და გლეხე[illegible] მნიშვნელობით. ჩვენს ლიტერა[illegible] როდესაც იხმარება სიტყვა [illegible]ლთა“ იგულისხმება მუშები [illegible]).

[illegible] უნდა გავიგოთ ეს „ერთგ[illegible]ვლენის“ ქონება ჩვენი პარ[illegible] წევრების ფსიქოლოგიაზე. არ [illegible] წარმოვიდგინოთ, რომ [illegible] ორგანიზაციები (წინად ბოლშე[illegible] ორგანიზაციები) საქართველოში [illegible] გამოკიდული, [illegible] პარტიას აქ თანაუგრ[illegible] მთელი რაიონები. ჩვენი მუ[illegible] საქართველოში უნიადაგო არ [illegible] არც შეიძლებოდა ყოფილი[illegible] შეიძლება ჩვენი პარ[illegible] საქართველოში წარმოვიდგი[illegible] და დროის გარეშე ან [illegible] სოციალურ-კლასიურ ფენების [illegible], როგორსაც წარმოადგენდა [illegible] (პარტიის ჩამოყალიბების [illegible]) საქართველოს მუშები [illegible], მარქსისტისათვის ეს [illegible] იყოს. მეც ამას ვწერდი [illegible] ვიმეორებ, რომ ჩვე[illegible] წარმოიშვა იმ მუშათა და [illegible], რომელიც ფაქ[illegible] ბობდა საქართველოში. [illegible] რუსეთის კომპარტია წარმოიშვა და განვითარდა იმ კლასიდან, რომელიც არსებობდა რუსეთში). აქვს თუ არა პარტიულ მასის ფსიქოლოგიაზე „ერთგვარი გავლენა“ იმ კლასს, რომლის წიაღიდან განვითარდა პარტია. ცხადია, რომ აქვს, რადგან პარტია ყალიბდება თავის კლასის ფარგლებში და ხდება ამ კლასის მეთაური, ხელმძღვანელი. რომ ეს ასეა, ამას არც ამხ. ლომინაძე უარყოფს, როდესაც ამბობს, რომ „ასეთ ორგანიზაციებში, როგორც, მაგალითად, საქართველოში (როდესაც ამხ. ლომინაძე „მაკრატელზე“ ლაპარაკობს) ჩვენს პარტიაში სჭარბობს გლეხური ელემენტები. ჩვენი პარტიის მუშათა ნაწილიც რომ ავიღოთ, ისიც უპარტიო მუშების საშუალებით უშუალოდაც დაახლოვებულია გლეხობასთან“—შემდეგ. „ის უკმაყოფილება“ ის სიმძიმე, რომელსაც განიცდის დღეს გლეხობა“ და სხვ. „ყველაფერი ეს გადადის მუშათა მასაზე და აღელვებს, აწუხებს მას და, რასაკვირველია, ჩვენი პარტიის მდგომარეობაზედაც ფრიად დიდ გავლენას ახდენს“. ამასთან ერთად ამხ. ლომინაძე დასძენს ამხ. ლენინის შეხედულებას „მუშათა კლასი ხომ არ არის გამოყოფილი გლეხობისაგან ჩინეთის კედლებითო“. შევადაროთ ეს ამონაწერი ამხ. ლომინაძის წერილიდან და ლენინის სიტყვები ჩემს შეხედულებას, რომლის წინააღმდეგ ამხ. ლომინაძე ილაშქრებს.

არის რაიმე განსხვავება, გარდა ამისა, რომ მას იგივე აზრი სხვა სიტყვებში აქვს გამოთქმული?.

სრულიად არავითარი.

როგორც სჩანს, საქმე სულ სხვა რამეშია. ის შეხედულება, რომ პარტიაზე გავლენა აქვს იმ სოციალურ წრეებს, რომლისგანაც განვითარდა პარტია, სწორია.—მხოლოდ კითხვა იმაშია, თუ რას წარმოადგენდა საქართველოში ის სოციალური ფენები, რომლისგანაც ჩამოყალიბდა ჩვენი კომორგანიზაციები. იმ ისტორიულ ფაქტის უარყოფა (რაგინდ არ დავამციროთ მუშათა და გლეხთა მოძრაობა საქართველოში), რომ საქართველოში რევოლიუციონური მოძრაობა ფრიად ინტენსიური იყო—არ შეიძლება. განსაკუთრებით, თუ შევადარებთ რუსეთის გლეხთა მოძრაობას საქართველოს გლეხთა მოძრაობას 1917 წლამდე, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ აქ [illegible] მოძრაობა უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე რუსეთში. 1917 წლის შემდეგაც აქაური გლეხები რამდენად შეეძლოთ ებრძოდენ მენშევიკურ ბატონობას (გაიხსენეთ 1918—19 წლების აჯანყებები).

ამას ზედ თუ დაუმატებთ სპეციფიურ ადგილობრივ საკითხებსაც, როგორც, მაგალითად, ნაციონალური საკითხი და სხვა,—ეს ხომ სულ უფრო ართულებს შინაპარტიულ დემოკრატიის საკითხსაც. მხოლოდ მე არც ერთი სიტყვით ჩემს წერილში არ მითქვამს, რომ საქართველოს გლეხები ან მუშები მაღლა დგანან მოსკოვის ან პეტროგრადის მუშებზედ. მე ვსთქვი, რომ ეს საკითხი აქ „უფრო მწვავედ სდგას, ვიდრე სხვაგან, თუ გინდ თვით რუსეთში“, მაგრამ რუსეთში მოსკოვსა და პეტროგრადის გარდა არის სარატოვი, ტამბოვი, სამარა; გარდა პროლეტარების არის გლეხებიც ჩვენს პარტიაში.

მე ეხლაც ვიმეორებ, რომ აქ ეს საკითხი უფრო მწვავედ დგას, რადგან 1) ჩვენს პარტიაზე გავლენა აქვს წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებს, 2) ადგილობრივი საკითხები ართულებს მდგომარეობას და თხოულობს მეტ ინიციატივას და თვითმოქმედებას და 3) აქ პარტიული აპარატები უფრო ბიუროკრატიულია, ვიდრე რუსეთში.

მაშასადამე აუცილებელია, რომ ჩვენმა პარტიამ თავი უნდა გაინთავისუფლოს ზემოხსენებულ „ერთგვარ“ წვრილ ბურჟუაზიულ გავლენისაგან, საჭიროა, რომ პარტია ვერ დაიმორჩილოს ამ იდეოლოგიამ. რა არის საჭირო ამისათვის, რომ პარტიამ თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს ისეთი პარტიის წევრები ან ორგანიზაციები, რომლებიც წვრილბურჟუაზიულ ფენებიდან წარმოიშვენ, მხოლოდ სხვადასხვა ობიექტიურ მიზეზებისა გამო იდეოლოგიურადაც დაუახლოვდეთ მუშათა კლასს და აქედან კომპარტიას.

სწორედ აქ იწყება ჩვენი აზრთა სხვადასხვაობა. ამხ. ლომინაძეს და რუბენს ჰგონიათ, რომ რაც ნაკლები იქნება დემოკრატიზმი, მით უკეთესია, რადგან პარტიას შეუძლია თავისი აპარატით გავლენა მოახდინოს მასაზე (პარტიაზე) და დაუმორჩილოს პროლეტარულ იდეოლოგიას. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ საზოგადოთ მუშათა დემოკრატიზმი პარტიაში საჭიროა იმიტომ, რომ პარტიული მასის თვით[illegible]რის. თუ ამხ. ლომინაძის და რუბენის ლოღიკას გავყვებით, ჩვენ შემდეგ დასკვნამდის მივალთ: მოსკოვში და პეტროგრადში საჭიროა შინაპარტიული დემოკრატიზმი, რაც საშუალებას აძლევს იქაურ მუშებს გააძლიერონ ისედაც შედარებით მაღლა მდგომი თვითმოქმედება და აქტივობა პარტიულ მასისა. ტფილისში კი, საზოგადოთ ისეთ ადგილებში, სადაც პროლეტარული შემადგენლობა სუსტია—იქ ნაკლებაა საჭირო დემოკრატიზმი, ე. ი. თვითმოქმედება და აქტივობა შებოჭვილი უნდა იყოს, ან ერთგვარ ფარგლებში ჩაყენებული. გამოდის, რომ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც წინ არიან წასული იდეოლოგიურად და კულტურით, საშუალება ეძლევა კიდევ უფრო წინ გაუსწრონ ჩამორჩენილ ორგანიზაციებს, ის ორგანიზაციები კი, რომლებიც ჩამორჩენილი არიან ამ მხრივ, კიდევ უფრო ჩამორჩნენ. ამ გზას ჩვენი პარტია ვერ დაადგება. უმთავრესად სწორედ ამ მხრივ სდგას აქ, საქართველოში, უფრო მწვავედ შინაპარტიულ დემოკრატიზმის საკითხი. ის გზა, რომელსაც იძლევა ამხ. ლომინაძე და რუბენი, მოგვცემს სწორედ რომ წინააღმდეგ შედეგს, ე. ი. ჩვენს პარტიაში, რომელშიაც სჭარბობს წვრილბურჟუაზიულ ფსიხოლოგია უფრო გამაგრდება ეს უკანასკნელი, რადგან მასში შებოჭვილი იქნება თვითმოქმედება და ინიციატივა პარტიის წევრებისა.

ეს მქონდა მეც უმთავრესად მხედველობაში, როდესაც ჩემს პირველ წერილში ვამბობდი, რომ აქ, საქართველოში, უფრო მწვავედ სდგას საკითხი შინაპარტიულ დემოკრატიზმის.

ჩემის აზრით პარტიულ დემოკრატიზმის აღკვეთით ან, შედარებით, მისი შეკვეცით შეუძლებელია ჩვენი პარტიის წევრების იდეოლოგიური დაახლოვება და მათი პროლეტარული ფსიქოლოგიით გაჟღენთა.

მოსკოვის და პეტროგრადის მუშები კი შედარებით უფრო ადვილად გაუმკლავდებიან ყოველგვარ რეჟიმს პარტიაში.

ამიტომ გადაჭრით უარყოფილ უნდა იქნას ამხ. ლომინაძისა და რუბენის შეხედულება, რომელიც პარტიის წევრებს ყოფს სხვადასხვა კატეგორიებათ და ზოგს მეტ უფლებას აძლევენ, ზოგს კი ნაკლებს.

[illegible] დემოკრატიზმის საკითხს. საუბედუროდ ამხ. ლომინაძეს კი ჰგონია, რომ ამხ. ბუხარინი მისებურად უყურებს დემოკრატიზმის საკითხს. მას ვერ გაუგია ამხ. ბუხარინის მოხსენების შინაარსი.

რას ამბობს ამხ. ბუხარინი? ამხ. ბუხარინს აქვს მხედველობაში, ყველა პროლეტარული ორგანიზაციები საერთოდ, მაგალითად, პროფკავშირები, საბჭოთა აპარატები, ადმინისტრატიულ-ტეხნიკური და ადმინისტრატიულ-ეკონომიური ორგანოები, არმია, კომპარტია და სხვადასხვა. იძულებული ვარ მოვიყვანო გრძელი ამონაწერი ამხ. ბუხარინის მოხსენებიდან: „ფორმები და მეთოდები პარტიულ ორგანიზაციის არ შეიძლება მექანიკურად გადავიტანოთ სხვა აპარატებზე, რომლებიც მუშათა კლასის განკარგულებაშია. მართალია, ის ისტორიული მომენტი, რომლითაც განისაზღვრება ფორმები და მეთოდები პარტიული ორგანიზაციის, რასაკვირველია, განსაზღვრავს მუშაობის ფორმებს და მეთოდებს სხვა აპარატებისასაც, რომლებიც მუშათა კლასის განკარგულებაშია, მაგალითად, პროფკავშირები, საბჭოთა აპარატები, ის აგრეთვე განსაზღვრავს ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ და ადმინისტრატიულ-ეკონომიურ ორგანოების ფორმებსაც და ნაწილობრივ სხვა ორგანიზაციებისას, როგორც მაგალითად არიან.

ამავე დროს ულრმესი შეცდომა იქნებოდა, გაუსწორებელი შეცდომა, რომ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ ყველა ჩვენი პარტიის წევრებმა წარმოიდგინოს, რომ მექანიკური გადატანა იმ ხაზის, რომელსაც ჩვენი პარტია უშვებს თავის ორგანიზაციაში (იგულისხმეთ კომპარტია), შეიძლება დაუშვათ სხვა პროლეტარულ დიქტატურის აპარატებში „და სხვა“.

გამოდის რა ამ დებულებებიდან, ამხ. ბუხარინი დაასკვნის, რომ მუშათა დემოკრატიზმის ორგანიზაციული ფორმა უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ დებულებებს: 1) ამა თუ იმ ორგანიზაციის სოციალურ-კლასიურ შემადგენლობაზე, ე. ი. რამდენადაც ესა თუ ის ორგანიზაცია, პროლეტარულია, იქ მეტი დემოკრატიზმის დამყარება შეიძლება და, პირიქით, რამდენათაც ნაკლებად პროლეტარულია, იმდენად ნაკლები დემოკრატიზმია საჭირო სავსებით მართალია.

[illegible] ამხ. ლომინაძეს ჰგონია, [illegible] ამხ. ბუხარინი [illegible] უშვებს თვით პარტიაში. რომ ასე არაა და ამხ. ლომინაძე ურევს ერთი მეორეში პროლეტარულ ორგანიზაციებს საერთოდ და კომპარტიას—ეს მტკიცდება კიდევ ამხ. ბუხარინის შემდეგი ამონაწერიდან: „ამ გრძელი სიტყვის მოკლე შინაარსი იმაში გამოიხატება, რომ ის, რაც **ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ შიგნით ჩვენს პარტიაში, ეს იმას არ ნიშნავს**, რომ იგივე შეგვეძლოს გადავიტანოთ სხვა ორგანიზაციებზე. რასაკვირველია ეს საქმე მოითხოვს უფრო კონკრეტიულ განხილვას: თუ რა შეიძლება პროფკავშირებში, საბჭოთა ორგანიზაციებში, ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ აპარატებში ან არმიაში-ო“ (იხ. ბუხარინის სიტყვა მეათე ყრილობაზე).

აშკარაა, რომ ამხ. ლომინაძე აჩქარდა და ამიტომ დაამახინჯა მეათე ყრილობის გადაწყვეტილების აზრიც შინაპარტიულ დემოკრატიზმის შესახებ და მისდა უნებლიეთ მხოლოდ აპარატის მხურვალე დამცველად გამოვიდა. მისი აზრით საკმარისია, რომ პარტიის ზედა ფენებში იყოს დემოკრატიზმი, მხოლოდ პარტიის ქვედა ფენებში შეიძლება მუშათა დემოკრატიზმის გატარება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავენ პარტიის აპარატები.

ზემონათქვამიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა: 1) პარტიული გადაწყვეტილებანი და დადგენილებები უნდა იყოს შედეგი აზრთა გაცვლა-გამოცვლისა, როგორც ზევიდან ქვევით, ისე ქვევიდან ზევით; 2) პარტიაში უნდა არსებობდეს ერთი რეჟიმი და არა სხვადასხვა, ე. ი. პარტიის წევრი უნდა იყოს სრულუფლებიანი. ფორმულა, რომ ტფილისში შეიძლება მეტი დემოკრატიზმი პარტიაში, ე. ი. შეიძლება მეტი უფლება ჰქონდეს პარტიის წევრს და გურიაში, შორაპანში, ან ბორჩალოში ნაკლები—უარყოფილ უნდა იქნას და 3) არჩევნები უნდა ხდებოდეს თავისუფლად ქვევიდან ზევით, რაც რასაკვირველია არ უარყოფს უკიდურეს შემთხვევაში ზევიდან დანიშვნასაც, თუ ამას მოითხოვენ პარტიის ინტერესები. დანიშვნანი ზევიდან, როგორც სისტემა, აუცილებლად უნდა მოისპოს.

მხოლოდ ასეთი ორგანიზაციული ფორმა ჩვენი პარტიული აღმშენებლობისა მოგვცემს ჩვენ სასურველ შედეგს და გახკურნავს პარტიას იმ არანორმალურ მდგომარეობიდან, რომ[illegible]

მუშათა ცხოვრება

რევოლიუციონური ნათლობა

გასულ წლის 31 დეკემბერს სანიტარულ განათლების თეატრის დარბაზში არაჩვეულებრივ ნათლობას ჰქონდა ადგილი. მოსანათლავი იყო მედიცინო დაწესებულებების ერთი მუშის და ორი თანამშრომლის ბავშვები. ნათლობის ცერემონიას ხსნის ჯანმრთელობის კომისარიატის ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ჩიხლაძე, რომელიც თავის მოკლე სიტყვაში პარალელს ატარებს ძველებური მღვდელ-დიაკონის მონაწილეობით და ახლანდელი რევოლიუციონური ნათლობათა შორის. შემდეგ ის მიმართავს იშვიათ სანახავზე მრავლად მოსულ მუშა-მოსამსახურეთ და აცხადებს, რომ მუშა მშობლების დაჟინებითი თხოვნით მათ პაწია ქალს საბჭოს სახელი „სოვეტ" ერქმევა. ნათლიობას თავის-თავზე ღებულობს ჯანმრთელობის კომისარიატის კომუჯრედი. როგორც სახელი, აგრეთვე ნათლიების ვინაობა ქალაქის აღმასკომის მოქ. მდგომარეობის ჩამწერ ბიუროს მიერ იქვე შეტანილ იქნა სათანადო წიგნებში. შემდეგ ბავშვის მშობლებმა განაცხადეს სურვილი მათ ბავშვს სახელად „რემი" დარქმეოდა. „რემი" შესდგება სამი სიტყვის სათაური ასოებიდან: „რევოლიუცია, ელექტროფიკაცია, მშვიდობიანობა". ვინაიდან დამსწრე საზოგადოებამ სხვა სახელი არ წამოაყენა, ეს სახელიც იქნა სათანადოდ ჩარაცხული წიგნში. ამ ბავშვის ნათლიობას კისრულობს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მთლიანად. შემდეგ ბავშვს—ვაჟს, მშობლების თხოვნით და ყველასი მხურვალე თანხმობით „ვლადიმლენი" დაერქვა. „ვლადიმლენი" წარმოადგენს შემოკლებულ „ვლადიმერ ილიასძე ლენინს" სახელს. ამის ნათლიობას ჯანმრთელობის კომისარიატის და და[illegible] სამკურნალოს [illegible] ფილებისა ადგილკომები კისრულობენ.

საპატიო ნათლიებათ იქნა დასახელებული: ამხ. მიხა ცხაკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ეგოროვი, კახიანი, რუბენი და ქართველიშვილი.

[illegible] ამთავრების შემდეგ, ამ[illegible] ნათლიების სახელით გადა[illegible]ლად მონათლულების მშობლებს ბავშვებისათვის საჩუქრებს—(პაწია საბანს, საცვ[illegible]ლოს, ქალამნებს, ტანისაცმელის [illegible]ერიას) და განმარტავს, რომ ნათლიებს ეკისრებათ მოვალეობა [illegible] იზრუნონ მონათლულთა კულტურულ და ფიზიკურ აღზრდისათვის, მათგან სასარგებლო მოქალაქეების გამოყვანის მიზნით.

მუშკორი ა. ნ.

მუშათა კრედიტის შესახებ.

თითქმის ერთი წელიწადია, რაც ჩვენ მოუთმენლად მოველოდით სესხის აღებას მანუფაქტურის სახით, რის შესახებაც ჩვენმა ხელისუფლებამ სათანადო დეკრეტიც კი გამოსცა. ამ სესხის შესახებ ჩვენს გაზეთებში ბევრი წერილებიც დაიბეჭდა, თუ როგორ უნდა მოეგვარებინათ სესხის მუშებზე გაცემა და რა პირობებში. დიდი ლოდინის შემდეგ, როგორც იყო, მოგვეცა საშუალება სესხი მიგვეღო და ამით ცოტათი მაინც შეგვემსუბუქებინა ის გაჭირვება, რომელსაც მუშათა კლასი განიცდის დღეს ტანისამოსისა და საცვლების უქონლობით. მიუხედავად იმ დაბრკოლებისა, რომელიც ხელს უშლის მუშებს ამ სესხით ფართოდ ისარგებლონ და თავიანთი ცოლშვილი ცოტად თუ ბევრად შემოსონ, ჩვენს სიხარულს მაინც საზ[illegible] არა აქვს, როდესაც მიღებულ ფართლეულობით შინ ვბრუნდებით. მიუხედავად მენშევიკების სამი წლის ბატონობისა, ისინი მარტო დაპირებებით ჰკვებავდნენ მუშებს და რეალურად მათ მუშებისათვის არაფერი მიუციათ, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკების ქალაქის გამგეობას საკმაოდ ჰქონდა ფართლეულობის მაღაზია და ევროპიდან შემოტანილი დამპალი ჩითებიც ბევრი ეღაგა შიგ.

მხოლოდ მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ შესძლო დაპირებების განაღდება, და დღეს ჩვენ მოწმე ვართ იმის, რომ ჩვენი მუშკოოპის მაღაზიები მუშა-მოსამსახურეებით არის სავსე და ეზიდებიან თავიანთ ოჯახებში იმ მცირე სესხს ფართლეულობის სახით, რომელმაც სულზე მოუსწრო ჩვენს გატიტვლებულ ცოლშვილს. ეს დიდი შეღავათია ჩვენთვის. მართალია, ზოგიერთებს არ მოსწონთ ეს კრედიტი, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ დიდი უმრავლესობა კმაყოფილია ამ სესხით, ვინაიდან ის თავის ჯამაგირით ვერასოდეს ვერ შესძლებს ერთბაშად იყიდოს იმდენი ნაღდ ფულზე, რამდენიც მას კრედიტით ეხლა მიაქვს. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა ბიუჯეტისათვის.

მე მინდა მხოლოდ მიუთითო მუშკოოპის გამგეობას აქ ზოგიერთ გარემოების შესახებ. ჯერ ერთი ის, რომ ჩვენ, მუშები, ვართ და ჩვენ გვესაჭიროება უფრო იაფ-ფასიანი ფართლეულობა, როგორიც არის უბრალო ნარმა, რასაც ძალიან ეტანებიან მყიდველები, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ნარმა მაღაზიებში არა სჩანს; მართალია, ნარმა სავალიუტო საქონელია და სოფელს ესაჭიროება, მაგრამ ჩვენც იმავე სოფლის შვილები ვართ და კარგი იქნებოდა ჩვენთვისაც შემოენახათ ასეთი ნარმა. ეს საქონელი კი ბალიშის შიგნითა პირებისაოვის და ნაალებისათვის თავისი სიმაგრით შეუდარებელია. მეორე კიდევ ის, რომ სა[illegible] [illegible] უნდა შეი[illegible]. 1—7 ისტუმრებენ კრედიტორებს, და ამ დროს იმდენი ხალხი აწყდება მაღაზიებს, რომ იქ ტევა არაა; უკეთესი კი იქნებოდა, რომ უფრო ადრე დაწყებულიყო კრედიტორების გასტუმრება; აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის, რომ თუ ჩვენ არ გვცალია და ჩვენ ჩვენს დაზგებზე ვმუშაობთ ამ დროს, ჩვენი ცოლშვილი უმეტესობით მაინც თავისუფალია ამ ხანებში და მათ შეუძლიათ ეს კრედიტი გამოიტანონ. მაშინ არც ისეთი თავის მტვრევა იქნება, რაც ეხლა ხდება; აქ მისაღებია აგრეთვე მხედველობაში ჩვენი ამხანაგების მუშკოოპის ნოქრების დაღლილობაც, რომელთაც დროც კი [illegible] ისინი მშივრები ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, რაც ყოვლად დაუშვებელია. მათ დაღლილობას და სიმშილს მეტი ზარალი შეუძლია მოუტანოს მუშათა კოოპერაციას. საჭიროა მუშკოოპის გამგეობა ამ ნოქრების მდგომარეობაში შევიდეს და მათ ერთი საათის დასვენება მისცეს, ვინაიდან იმ აუარებელ ხალხში ეს ნოქრები ძლიერ ინტენსიურად მუშაობენ და მთელი დღე ფეხზე დგანან. მე, მაგ., 28 დეკემბერს მუშკოოპის № 1-ლი მაღაზიიდან 4 საათიდან თითქმის 9 საათამდე ველოდებოდი საქონლის მიღებას, შემდეგ კი ისინი კიდევ დარჩნენ აწეწილ ფართლეულობის წესრიგზე მისალაგებლად; ამ უსისტემობას სჭირია ყურადღება და შრომის დაცვის ინტერესები მოითხოვენ ნოქრების ასეთ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს, ვისაც ეს ევალება.

კრედიტით მუშების უმრავლესობა, ვიმეორებ, კმაყოფილები არიან.

მუშკორი უ ჟაშ.

მუშათა ზეიმი

30 დეკემბერს სახაზინო საოპერო თეატრში ტფილისის მუშებმა მუშა-კალმოსანს, გიგო ხეჩუაშვილს, გადაუხადეს საიუბილეო ზეიმი. დაახლოვებით თორმეტ საათზე მუშა-მგოსანი მისმავე თანაკალმოსნებმა—ამხანაგებმა მოიყვანეს თავის ბინიდან სრულიად უბრალოდ. მაგრამ გამოფხიზლებულმა მშრომელმა ხალხმა მისი „ფარულად" მოყვანა მაინც გაიგო და როდესაც იუბილიარმა ფეხი შედგა თეატრის აივანზე—იგრიალა მქუხარე ტაშმა და ჩვენმა მუშებმა „ვაშა"-ს ძახილით შეაცილეს საყვარელი მუშა-კალმოსანი კულისებში დიდის ამბით.

პირველ საათზე დაიწყო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა მისივე პიესა „მუშა—მგოსანი".

პიესა მშვენივრად ჩაატარდა. მომქმედნი პირნი ლამაზად მომზადებულიყვნენ და კარგი თამაშით კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს დამსწრე საზოგადოებაზე. ბევრმა მაყურებელმა გულწრფელი ცრემლი გადმოყარა, იმდენად გრძნობა აუჩუყდა პიესის შინაარსის ზეგავლენით. წარმოდგენის გათავების შემდეგ დაიდგა აპათეოზი. შუაში იჯდა მუშა-მგოსანი, გარს ეხვივნენ თავის გმირები.

აპოთეოზის შემდეგ დაიწყო მილოცვები. მიმლოცველნი ძალიან ბევრნი იყვნენ სხვადასხვა დაწესებულებიდან. წარმომადგენელნი ეგებებოდნენ მუშა იუბილიარს სიტყვებით და ლექსებით. ბევრ ორატორებმა დროს უქონლობის გამო ვერ მოახერხეს სიტყვების წარმოთქმა. საზოგადოებაზე საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა პატარა ბავშმა, რომელმაც თვისის ლამაზი გამომეტყველებით და მუშა იუბილიარის პატივსაცემად წინადადებით ფეხზე წამოაყენა დამსწრე საზოგადოება და გამოიწვია მხურვალე ტაშის კვრა. შემდეგ ორმა პატარებმაც მიულოცეს იუბილიარს დღესასწაული—ერთმა ლექსით და მეორემ ჯერ ლექსი უთხრა და შემდეგ მიართვა თავის ხელით დახატული სურათი იუბილიარისა მასვე.

უმღერდა საუცხოვოდ მოწაფეთა გუნდი ამხ. შაქრო ხატიაშვილის ლოტბარობით. ხალხი მრავლად დაესწრო. თეატრი სავსე იყო. დარიც საუცხოვო იყო, თითქოს განზრახ ბუნებამაც თანაგრძნობა გამოუცხადა ჩვენს მუშა-მგოსანს.

მზე ცხრა თვალით ანათებდა და მშრომელ ხალხს იწვევდა „მოდით, მიულოცეთ დღესასწაული თქვენი წიაღიდან გამოსულს მუშა-მწერალს, თქვენთვის მომღერალს და ჭირისუფალსო". იუბილე ლამაზად ჩაატარეს ხელმძღვანელებმა, რომელიც დასრულდა საღამოს [illegible]ზე.

[illegible] მადლობის [illegible] არიან პატივცემული მარჯანიშვილი, რომლის მთავარი ხელმძღვანელობით დაიდგა პიესა, აგრეთვე თომა ნასიძე, რომელიც რეჟისორობდა და რომლის შესრულებაშიც თვითვე მიიღო მონაწილეობა და ამხანაგი იმედაშვილი იოსები, რომელიც ამ საქმის ღერძი იყო და რომლის გარშემო ტრიალებდა ზეიმის მოწყობა. მან, როგორც გამოცდილმა და დახელოვნებულმა ამგვარ საქმეებში სახელოვნად ჩაატარა ზეიმი და გამარჯვებითაც დააგვირგვინა იგი, საიუბილეო კომიტეტის წევრებთან ერთად.

მუშკ. შაქრო ნავთლუღელი.

დავიწყებული და გაბინძურებული ქუჩა.

(სანიტარულ კომისიის საყურადღებოდ)

რამდენჯერმე იყო აღძრული კითხვა გაზეთებში—ნაძალადევის ქუჩის შესახებ. მაგრამ ვერ იქნა და ვერა და ვერ მოაგნეს ჩვენს ქუჩებს. განსაკუთრებით მე ვამბობ ბუფერის ქუჩაზე.

ეს ის ქუჩაა, რომელშიაც აღიზარდა რევოლიუციის რამოდენიმე ბელადი.

აი ამ ქუჩაში იხრჩობიან უსუფთაობის ტალღებით აქაური მუშები და მათი შვილები. სანიტარულმა კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა ნახონ ადგილობრივ ეს რევოლიუციის აკვანი, რათა დარწმუნდნენ იმაში, თუ რა მდგომარეობაშია ბუფერის შესახვევი. მე, როგორც მუშათა კორესპონდენტი, ვთხოვედი წყალსადენის დირექტორს ამხ. დიასამიძეს, ენახა თუ რა დღეში არის დღეს უმიწაძვროთ ამოხეთქილი ნაკადული. სად არის სანიტარული კომისია, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ამ შემაძრწუნებელ მოვლენას. საჭიროა დაუყონებლივ მიღებული იქნეს სათანადო ზომები.

მუშკორი რო—შვილი.

კომუჯრედის წლის თავი ქ. წყალსადენის მუშებში

ა | წ 22 დეკემბერს წყალსადენის კომუჯრედის წლის თავის აღსანიშნავად, „ლადო სუხიშვილის სახელობის კლუბში" გაიმართა დრიად შინაარსიანი საღამო-წარმოდგენა სამ განყოფილებად. საღამო დაიწყო ექიმ **ლომაურის** ლექციით „გაახალგაზრდავება"-ზე. ლექტორმა წმიდა ქართული, ხალხური, გასაგები ენით ახსნა და განმარტა რთული, მეცნიერული საკითხი სიკვდილ-სიცოცხლისა, ლტოლვა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის, მარადისობისადმი; მოიყვანა მრავალი მაგალითი მეცნიერების ამ სფეროში მუშაობის შესახებ და დაასკვნა, რომ პროფესორ შტეინახის გამოკვლევის შემდეგ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ სიცოცხლის პრობლემის კაცობრიობის სასარგებლოდ გადაწყვეტაში.

ლექციამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადობაზე, რისთვისაც ექ. ლომაური დიდი მადლობის ღირსია. მეორე განყოფილება (წყალსადენის კომუჯრედის წლის თავის აღნიშვნა) დაიწყო ამხ. ლადო გაგნიძის მოხსენებით კომუჯრედის ერთი წლის მოქმედების შესახებ. მან აღნიშნა მოკლეთ, თუ რის გაკეთება შესძლო კომუჯრედმა პოლიტიკურ და პროფესიონალურ დარგებში. თანამოხსენებლად გამოვიდა ამხ. ალ. ტიგიშვილი.

ქალ. [illegible]ასკლაოს კომუჯრედის სახელით მ[illegible]ალმებელი სიტყვა წარ[illegible] ერთ[illegible] ამ კომუჯრედის დამაარსებელთაგანმა ამხ. გ. ხოჯიევმა.

წყალსადენის უპარტიო მუშების სახელით კომუჯრედს ესალმება მუშკორი ათ. გოგოშიძე. ის აღნიშნავს, რომ წყალსადენის მუშებში [illegible] რამ არის გაკეთებული საკულტურო-საეკონომიო და საპროფესიო სფეროში და ყველა ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს კომუჯრედს, როგორც მუშურ-გლეხურ ინტერესების მატარებელ პარტიის ღირსეულ წარმომადგენელს წყალსადენში. მიღებულია რეზოლიუცია ერთხმად, რომ კომუჯრედის ერთი წლის მოქმედება არის დამაკმაყოფილებელი.

უპარტიო მუშებმა ამხ. გოცირიძის ხელით უძღვნეს კომუჯრედს გვირგვინი წარწერით „მუშათა საქმისთვის სოციალიზმის მოციქულთ წყალსადენის კომუჯრედს"—წყალსადენის მუშებისაგან.

საღამო დასრულდა ორმოქმედებიანი პიესის „ჯერ დაიხოცნენ და შემდეგ დაქორწილდნენ" ის დადგმით პიესა საერთოდ კარგად ჩატარდა,

მუშკორი—ა. განიძე.

ხელოვნება

პავლე სერგეევის კონცერტი.

პავლე სერგეევმა ზარშანწინ ჩინებულად დაამთავრა სახელმწიფო კონსერვატორიის კურსი პროფესორ ლედნევის კლასში. ვიოლინზე დამკვრელმა პავლე სერგეევმა მაშინვე მიიპყრო ტფილისის მუსიკალურ-პედაგოგიურ წრეების ყურადღება თავისი ჭეშმარიტად დიდი მუსიკალური ნიჭით. 23 დეკემბერს სერგეევი პირველად გამოვიდა საკონცერტო ესტრადაზე; ამ დღეს მან საქმებით გაამართლა ის აზრი, რომ ის დიდი და იშვიათი ნიჭის პატრონია. მთელი საკონცერტო პროგრამა შესრულებულ იქნა მხოლოდ მის მიერ. ერისტის კონცერტი fis-moll იშვიათად სრულდება მუსიკალურ და ტეხნიკურ სიძნელის გამო. სერგეევმა ადვილად გადალახა ეს დაბრკოლება და გვიჩვენა კონცერტის საუცხოვო შესრულება. კიდევ უკეთესად იქნა შესრულებული ჩაიკოვსკის კონცერტი d-moll ხელოვანმა გვაგრძნობინა ტეხნიკის ცოდნა და გადმოგვცა კონცერტის ღრმა შინაარსი. დასრულებულად იქნა შესრულებული სვენდსენის რომანსი და დიდებული prelude და olegro—პუნიან კრეისლერის. ისეთი შინაარსს მოკლებული ადგილის შეტანამ პროგრამაში, როგორიც არის „უნგრეთის ცეკვა" ბრომსის, დაარღვია პროგრამის მხატვრულობა. კონცერტანტს დიდი ოვაციებით შეხვდა საზოგადოება. კონსერვატორიის დარბაზი სავსე იყო ხალხით.

პ. ბეხუთოვი.

— **ამხ. მოსე გოგიბერიძის მოხსენება.** ამ დღეებში ამხ. მოსე გოგიბერიძე ხელოვნების სასახლეში წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „შემეცნების შესაძლებელი კრიტიკა" მოხსენებაში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულნი არიან დაინტერესებული პირები.

— **გრიგოლ რობაქიძის ახალი პიესა.** გრიგოლ რობაქიძემ დასწერა ახალი დრამა „მალშტრემ" 6 სურათად, რომელსაც ავტორი წაიკითხავს რუსთაველის თეატრში დასის შემადგენლობაში პარასკევს 4 იანვარს.

— **ჟურნალი „სახიობა".** გამოვიდა მსახიობთა კავშირის ჟურნალი: „სახიობა" № 1. ჟურნალში მოთავსებულია ცნობილ რეჟისორთა და მწერალთა წერილები და ქართული დრამის მსახიობთა სურათები: ჟურნალი ლამაზადაა გამოცემული.

— **ხალხური სიმღერათა კრებული.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ზ. ფალიაშვილის მიერ შედგენილი ხალხური სიმღერათა კრებული.

— **წითელ-არმიელთა კლუბში.** წითელ-არმიელთა კლუბში, რომელიც ამ ჟამად მოთავსებულია ახალ ბინაზე პატარა თიატრის შენობაში, ამ დღეებში დაიწყება ქართული წარმოდგენების გამართვა წითელ-არმიელთათვის.

— **დახმარება გიგო ხეჩუაშვილს.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა გიგო ხეჩუაშვილის მისი 25 წლის იუბილეს გამო, დახმარების სახით მისცეს 100 მან. ჩერვონცით.

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენ გაზეთში (№ 291) დაბეჭდილია ოქმები და მოხსენება საქარ. დემოკ. პარტიის (ეროვ. დემოკ. რად. დამოკ. ერთიანულ პარ. და უპარტიოთა კავშირი) ყრილობისა, რომელიც შესდგა ქ. ტფილისში 1923 წ. 28 ოქტომბერს. დამსწრე დელეგატთა სიაში შეცდომით გამოტოვებულია დელეგატი ოზურგეთის მაზრის, ორგანიზაციისა გიორგი ვასილის-ძე თიკანაძე, რომელიც დაესწრო ზემოხსენებულ ყრილობას და წარმოადგინა შესაფერი მანდატი ორგანიზაციის ყოფილ ხელმძღვანელთაგან.

გთხოვთ შეასწოროთ ზემოხსენებული შეცდომა.

[illegible] დემოკრატიული პარტიის ყრილობის მომწვევი ბიუროს თავმჯდომარე შ. გოთუა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ დეკემბრის 31.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის მოსპობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მთლად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1924 წლის იანვრის 1-დან მოსპობილ იქნეს მიღება ნატურად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა.

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სასურსათო ორგანოების საგადასახადო აპარატი—საჭირო ქონებითურთ—გადაეცეს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

3. წინა მუხ. თანახმად სასურსათო ორგანოების საგადასახადო აპარატის გადაცემის წესს და მასთან დაკავშირებულ ყოველ საკითხს გადასწყვეტენ ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი ურთიერთთან შეთანხმებით.

4. ამიერკავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ურთიერთთან შეთანხმებით, გამოსცემენ საჭირო დადგენილებებს ამა დეკრეტის განსავითარებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ბ. თალიბლი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— კვირას, 6 იანვარს 1924 წ. შუადღის 12 საათზე, ს. კ. პ. ტფ. კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე მოხდება

პოლიტცოდნის სკოლათა ხელმძღვანელების თათბირი.

მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: დივნოგორცევი, როხლინი, პანტელეევი, მეტრეველი, მიქაძე, ბუხნიკაშვილი, ზილბერმიანცს, გრიშჩენკო, ბაშინჯაგიანი, იოვიძე, ხარმანდარიანი, ბეკანოვი, შირვანსკი, პოლოსიანი, ტერ-არუტიუნოვი, სტანსკი, სალარიძე, კარაულიანი, ვილენსკაია და კუზმინა.

დღის წესრიგი:

1. სკოლების პროგრამა, 2. სახელმძღვანელოები, 3. მეცადინეობის მეთოდები, 4. მიმდინარე საქმეები.

ტფ. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მაგიერ
ა. პენიაკოვა.

პროფესიული

სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში.

— დღეს, 3 იანვარს, საღამოს 7 საათზე სკოლის გარეშე განათლების მუშაკის სახლში შესდგება სასკოლო სექციის მორიგი კრება, დღის წესრიგი: „მოხსენება მოზრდილთა ფსიქოლოგიის შესახებ."

მეცნიერება და ტეხნიკა

ელექტროფიკაცია შეერთებულ შტატებში.

მიმდინარე წელს შეერთებული შტატების ფედერალურმა კომისიამ, რომელიც განაგებს ყველა საქმეებს, რომლებიც ეხებიან მდინარეებისა და წყალვარდნილების ცოცხალი ძალების გამოყენებას და განაწილებას, [illegible] სამხრეთ-კალიფორნიის კომპანიის გრანდიოზული პროექტი. ამ პროექტის მიხედვით განზრახულია მდინარე კოლორადოს დაგუბება და ამით დაგროვებული წყლის მარაგის გამოყენება არა მარტო ველების მოსარწყავად, არამედ ელექტრონის ენერგიის მისაღებადაც. თუ რამდენად გრანდიოზულია ეს პროექტი, სჩანს იქიდან, რომ მდინარე კოლორადოზე ახალი ჰიდრო-ტეხნიკურ მოწყობილობათა და შენობების აგების ხარჯები ნავარაუდევია კომპანიის მიერ ერთნახევარი მილიარდი დოლარით, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე დაიხარჯა პანამის არხის გათხრისა და მო[illegible] დროს.

[illegible]ლორადოსა და მის შესართავებში [illegible] განაწილება არ არის ზომიერი. [illegible] წყლის რაოდენობა [illegible] მცირეა, სულ 85 კუბ. მეტრი [illegible]

[illegible] დაიქცეს ერთ მილიონ დესეტინამდე დღემდი უდაბნოთ ყოფილი მიწა. მესამე დავალება—ეს არის მდ. კოლორადოში წყლის ვარდნის ძალის გამოყენება ელექტრონის ენერგიის მისაღებად. დაახლოებით კოლორადოს შეუძლია—4.350.000 ცხენის ძალის ენერგიის მოცემა. სამხრეთ-კალიფორნიის კომპანიას მიეცა უფლება ჯერ-ჯერობით გამოიყენოს—2.500.000 ცხენის ძალის ენერგია. პირველი საგუბარის, 152 მეტრის სიმაღლის, გაკეთება კოლორადოზე განზრახულია შტატ არიზონაში. იმ ადგილში სადაც პირველი საგუბარი უნდა გაკეთდეს, კოლორადო იმდენად ვიწროა, რომ საკმაოა 200—300 მეტრის სიგრძე დამბა, რომ მდინარეს სრულიად შეეღობოს გზა. ამ საგუბარ ზევით განზრახულია უზარმაზარი აუზის გაკეთება წყალის მოსამარაგებლად. ამ აუზში მომარაგებული იქნება 60.500 მილიონ კუბ. მეტრზე მეტი წყალი, ე. ი. ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე მთელ კოლორადოში ერთი წლის განმავლობაში წყალი მიდის.

ამ საგუბარის მოწყობა იძლევა ქვევით, მდინარის დენის მთელ ხაზზე წყალის ნორმალური განაწილების საშუალებას, რადგან ამ აუზის წყალობით მდინარეში წყალის მატულობა ყოველთვის ერთნაირი იქნება და ამით აცილებული იქნება მდინარის ადიდების და სტიქიურ უბედურობათა საფრთხე.

ამას გარდა კოლორადო არის გამოსადეგი დიდ მანძილებზე გემების მიმოსვლისათვის. ამ ტბა-აუზის მოწყობით კი უკვე კოლორადოზე მთელი წლის განმავლობაში შეიძლება გემებით მიმოსვლა თითქმის 500 ვერსის მანძილზე. მდინარეზე მოეწყობა მთელი რიგი [illegible]-სადგურებისა, საიდან ელექტრონის ენერგიას მიიღებს თითქმის ერთი მესამედი ნაწილი შეერთებული შტატებისა.

[illegible] ამ ახალი გრანდიოზული პროექტის განხორციელება უსათუოდ შეუწყობს ხელს შეერთებული შტატების ამ ნაწილის მცხოვრებთა რაოდენობის სწრაფ ზრდას და საერთო ეკონომიურ წინსვლას.

საქონლის მანეთის ახალი კურსი

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატიდან.

აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 1924 წ. 1 იანვრისათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 17 მაისის დადგენილება № 52 ის საფუძველზე ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია ამით აცხადებს, რომ აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულება 10 (ათი) მანეთის ფასობის კვალობაზე ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო ინდექსის მიხედვით ამა წლის 1 იანვრისათვის განისაზღვრება—793.000.000 მან.

ამავე რიცხვისათვის საქონლის მანეთის ღირებულება განისაზღვრება —79.300.000 მან

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი—**ლ. დუმბაძე**
საერთო-საორგან. გან. გამგე—**ლ. ქურდოვანიძე.**

ქრონიკა

— **წითელ დაფაზე.** სრ. საქ. ცენტრალურ აღმასკომის კომიტეტმა დაადგინა: წინადადება მისცეს შრომის სახ. კომისარიატს ფულით დაჯილდოების გარდა, შეტანილი იქნენ წითელ დაფაზე ის მუშები, რომლებმაც განსაკუთრებული ენერგია გამოიჩინეს ნატანებ-ოზურგეთის რკინისგზის გაყვანის დროს წარმოებულ მუშაობაში.

— **საგლეხო კომიტეტების რევიზია.** სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოახდინოს საგლეხო კომიტეტების მუშაობის რევიზია და მისცეს სათანადო ინსტრუქციები.

— **საბჭოთა რესპუბლიკების საგლეხო კომიტეტების ყრილობა.** 24 იანვარს მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა რესპუბლიკების გლეხთა ურთიერთი დამხმარე საზოგადოებების წარმომადგენელთა ყრილობა.

— **არტელი „ბახტრიონი".** ომის ინვალიდთა არტელმა გახსნა მაღაზია „ბახტრიონი", რომელიც გაიხსნა რუსთაველის პროსპექტზე მუშათა სასახლის პირდაპირ.

— **ჩაი და შაქარი ამიერ-კავკასიისათვის.** ა. | კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ლონდონიდან მიიღო 850 ყუთი ჩაი და 3000 ტომარა შაქარი.

— **ჭაჭის არაყი.** საქართველოს ს. ს. რ. სპირტის, კონიაკის და არყის სახელმწიფო ტრესტმა გადასწყვიტა საქართველოს რესპუბლიკის სოფლებში საგლეხო კომიტეტების საშუალებით შეიძინოს ჭაჭის არაყი თავის ქარხნების საჭიროებისათვის.

— **სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.** 1 იანვრიდან 1924 წ. გაუქმდა სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო, რომლის ფუნქციები გადაეცა საგარეო ვაჭრობის კომისარიატს.

— **მუშათა მაძიებელთა ჩაწერა.** 7 იანვრიდან შრომის ბირჟაში დაიწყება იმ უმუშევართა ჩაწერა, რომლებიც არ არიან დაზღვეულნი და ეძებენ სამუშაოს.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 31 დეკემბერს შრომის ბირჟაში ახლად ჩაეწერა—11 უმუშევარი, სამუშაოზე გაიგზავნა—77, მოთხოვნილება იყო—112.

შემთხვევები

— **თავდასხმა.** 31 დეკემბერს, დილის 4 საათზე მოქ. ალექსანდრე ალექსანიანს (მე-3 ფედოროსკოვის ჩიხი № 9) თავს დაესხა სამი პირახვეული ბოროტ-მოქმედი, წაღებულია 100 ჩერვონეცის საღირალი ნივთები.

ცეცხლი. 1923 წ. 30 დეკემბრის საღ. 10 საათზე თხინვალის ქუჩაზე მდებარე სახლს № 28 გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა საშუალების ჩქარა იქნა ჩაქრობილი. ზარალი უმნიშვნელოა.

— **ქალის გვამის პოვნა.** 1923 წ. 30 დეკ. დილის 11 საათზე სოფ. მაძუკინის მინდორში იპოვეს მოკლული ქალის გვამი. ვინაობა გამოურკვეველია. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ქურდი ქალი.** 1923 წ. 28 დეკ. გაქურდული იქნა მოქ. ბაგრატ სტეპანოვის ბინა ბალაჯარის ქ № 16 მდებარე, საიდანაც წაღებულია რამდენიმე მილიარდის ნივთები. ქურდი აღმოჩნდა იმავე ეზოს მცხოვრები ქალი ზარა ტერ-გუკასოვი.

— **უბედური შემთხვევა.** 1923 წ. 29 დეკ. მალაკნის ქ. მიმავალი საბარგო ავტომობილი დაეჯახა ლინეიკას და სასიკვდილოთ დაასახიჩრა ლინეიკის პატრონი კარალოვი და შიგ მჯდომი თამარ მექიევი. შოფერი შეიპყრეს.

— **მკვლელის შეპყრობა.** 1923 წ. 28 დეკ. შეიპყრეს მოქ. შუშანიკა მიხეილის ასული გასან ჯალალოვი, რომელსაც ბრალდებოდა მოქ. ვარვარა არტემის ასული სოკრატიანის მოკვლა. ბრალდებული გამოტყდა დანაშაულში.

ამინდი ამიერკავკასიაში

1 იანვარი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

ფოთში... 9 გრ., ბათომში... 9, სამტრედიაში...12 გრ., აჯამეთში... 9 გრ., ქიათურაში... 6 გრ., მუხრანში... 1 გრ., ბორჯომში...—1 გრ., სურამში...2 გრ., ტფილისში...3 გრ., ერევანში... 3 გრ.; ბაქოში...9 გრ., (ქუთაისიდან, წიფიდან, მუკუზანიდან ველისციხიდან და სურამიდან ცნობები არ მოსულა).

ღრუბლიანობა: ტფილისში—მოწმენდილია. მუხრანში და ბაქოში სულ მცირე. ქიათურაში—მნიშვნელოვანი. დანარჩენ ადგილებში მოღრუბლულია.

ქარის ქროლა: ფოთში—დასავლეთის, ნელი; ბათომში—დასავლეთის, ზომიერი აჯამეთში—დასავლეთ—ჩრდილოეთ—დასავლეთის, ზომიერი. დანარჩენ ადგილებში არ ქრის.

ნალექი: უმნიშვნელო ბათომში.

ზღვის მდგომარეობა.

ნაპირებთან: ფოთში — ზომიერი ღელვა, ბათომში—მსუბუქი, ბაქო[illegible] ზომიერი, ლენქორანში—სიწყნარე.

ამინდი საქართველოში.

ცვალებადი ღრუბლიანობა, დასავლეთ საქართველოში თბილა. აღმოსავლეთ საქართველოში ჰყინავს.

ჩრდილოეთ კავკასია.

1 იანვარი, დილის 7 საათი.

კავკავ. ტემპერატურა:—1 [illegible] მოწმენდილია. სამხრეთ-დასავლეთ[illegible] ზომიერი.

ტფილისი

2 იანვარი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 8 გრ.

ღრუბლიანობა: სულ მცირე.

ქარი არ ქრის.

განცხადებანი

ტფილისის მუშების ერთი ჯგუფი აცნობებს საქართველოს პროლეტარიატს, რომ ღამით, 30 დეკემბერს მენშევიკების ჯალათების მიერ ვერაგულად მოკლულ იქნა ამხ.

ილარიონ სიმონის-ძე გიორგაძე

ძველი რევოლიუციონერი და მებრძოლი, რომელიც შეგნებულად მიემხრო სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის უკანასკნელ ყრილობის დადგენილებებს და დადგა კომინტერნის დროშის ქვეშ.

ცხედრის გამოსვენება მოხდება დღეს, 3 იანვარს, შუადღის 3 საათზე, მთავარი საავადმყოფოდან. (პლეხანოვის პროსპ.).

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ცოლი ქსენია, შვილი ნინიჩკა, ძმა გოგი, რძალი ფედო გიორგაძეები აცნობს თავის მეგობარ-ნაცნობ[illegible] თავის საყვარელ ქმრის, მამის, ძმის და მაზლის

ილარიონ სიმონის ძე
გიორგაძის

ვერაგულათ მკვლელობას, რომლის დასაფლავებაც მოხდება 3 იანვარს დღის სამ საათზედ. მიხაილოვის საავადმყოფოდან დიდუბი[illegible] პანთეონში. 340—1—1

ღრმათ დამწუხრებული გრიშა გიორგაძე აცნობს თავის ამხანაგ[illegible] და ნაცნობთ თავისი საყვარელ აღმზრდელ ბიძის

ილარიონ სიმონის ძე
გიორგაძის

ვერაგულათ მოკვლას. გასვენება მოხდება 3 იანვარს მიხაილოვ[illegible] საავადმყოფოდან დიდუბის პანთეონში 340—1—

თამარა ვასილის ასული თუთბერიძისა, მელქისედეკ ლომინაძე [illegible] დღე მინადორით, ვასილ ლომინაძე მეუღლით ლიუდით, [illegible] ვასილის ძე ლომინაძე და გიორგი ანტონის ძე თუთბერიძე [illegible] ჰქიკოთი აუწყებენ ნათესავებს მეგობრებს და ნაცნობებს, [illegible] 29 დეკემბერს ტრაგიკულად მოკლულ იქნა პირველთა უსაყვარ[illegible] სიძე, [illegible] და ძია

ილარიონ სიმონის ძე
გიორგაძე

რომლის გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 3 იანვარს [illegible] საავადმყოფოდან დიდუბის პანთეონში 338—1—

მეუღლე [illegible] ასული ასლანიშვილისა, შვილები: [illegible] ლენა, შალვა სიძე, შალვა ივანეს ძე კილაძე და შვილის [illegible] —აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ [illegible] გრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი [illegible]

სოლომონ ევლამპის ძე
ასლანიშვილ

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათ. ვარლისუბნის ქ. № 1[illegible] ნიდან გამოსვენება და დაკრძალვა კათოლიკურ ეკლესიაში მოხ[illegible]ბა ა. წ. 4 იანვარს დილის 10 საათზე. 341—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
[illegible]
მიხეილ ბედევანიშვილის [illegible]
[illegible] და წინაგან [illegible] ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო [illegible] **ექ. სვიმონ ყიფშიძის** [illegible]
ნე[illegible] ტფილისი, გრიბოედოვის ქ. № 20. (126

ექიმი
კ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, [illegible] სამმართველოს მახლობლად.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველ [illegible] 1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
ღარიბებს უფასოდ.

დავკარგე საქართველოს კომპარტიის წევრობის დროებ[illegible] მოწმობა № 1127, სოფიო თენიკაშვილის სახელზე [illegible]ცემული საქართ. კომპარტიის ცეკასაგან. ჩაითვალოს გაუქმებულ[illegible]

დავკარგე პირადობის მოწმობა № 1323 სოფიო სამ[illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 3[illegible]

სასტუმრო „ნოე"-სთან
მოწყობილია სრულიად ახალი მდიდრულად მორთული
სასადილო-რესტორანი „ნოე" საუკეთესო სამხატვრო თეატრით,
რომელიც გაიხსნა 31 დეკემბერს.
მოწვეულ[illegible] არიან გამოჩენილი არტისტიული და სამხატვრო ძალები.
პლეხანოვის პრ. № 103.
პატივისცემით ნ. სიხარულ